# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 237 (6094)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ამ გზამ უფსკრულში გადაგვჩეხა,



## სად არის ქართული გზა?

3-4

არჩილ გეგეშიძე:

## საქართველოს აშშ-სგან, როგორც სტრატეგიული პარტნიორისგან, დახმარება და დაცვა სჭირდება

2





6

## მოსაზრება საქართველოს განვითარების სტრატეგიულ კურსზე

## სამხრეთ ოსეთი ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას ელოდება

8






## ლომი იმისაა, რომ მკვდარიც ლომია...

გაქარწყლებული მითები

9


ჩვენო ერთგულო მკითხველო!

## თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

ახალი წლის დადგომამდე დიდი დრო აღარ რჩება, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი: აკმაყოფილებს თუ არა „საქართველოს რესპუბლიკა“ თქვენს გემოვნებას და რა სახის პუბლიკაციების სიმრავლეს ისურვებდით ახალ, 2009 წელს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ – კოსტავას ქ. №12, ტელ: 98-65-87.


## საკრებულოს კორუფციაში ადანაშაულებენ





3

## ზურაბიშვილი ოპოზიციის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა

ინფორმაცია



## აშშ-ის კონგრესის დელეგაცია საპარლამენტო კომისიის მუშაობით დაინტერესდა

**აშშ-ს კონგრესის დემოკრატიის განვითარების კომიტეტის აპარატის წევრები აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მუშაობის დეტალებით დაინტერესდნენ.**

ამის შესახებ ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრის შემდეგ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა პაატა დავითაიამ განაცხადა.

მისი თქმით, სტუმრებს აინტერესებდათ, თუ როგორ მუშაობდა კომისია და რა გამოავლინა.

დავითაიამ დასძინა, რომ სტუმრებმა ხაზი გაუსვეს კომისიის მუშაობის მნიშვნელობას დემოკრატიის განვითარებისთვის.

— ფაქტობრივად, ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო ის, რაც საქართველომ გააკეთა, კერძოდ, ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ იმ ფორმატში, რა ფორმატიც კომისიას გააჩნდა, მაქსიმალურად გაკეთდა ყველაფერი, — განაცხადა დავითაიამ და აღნიშნა, რომ კომისია ითანამშრომლებს საერთაშორისო საგამოძიებო კომისიასთან, რომელსაც ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს და მასალებსაც უახლოეს დღეებში გადასცემს.

## ოკუპაცია — „სამხედრო კონტროლით“ შეცვალეს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საპრეზიდენტო კომიტეტის მისია ასამბლეის თავმჯდომარის ლუის მარია დე პუშის ხელმძღვანელობით დღეს მოსკოვს ეწვევა. როგორც სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება, ვიზიტის მიზანი კავკასიის კონფლიქტის შედეგების შესახებ რეზოლუციების შესრულების მონიტორინგია.**

— იანვარში ასამბლეა აპირებს, რეგიონში ნორმალიზებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების შესახებ ანგარიში მოისმინოს. დელეგაცია უკვე იმყოფებოდა თბილისში და ჯერჯერობით, ქართული მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციით ხელმძღვანელობს. კავკასიაში მოვლენების განვითარებისა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით ჩვენს პოზიციას სულ უფრო მეტი ჩვენი კოლეგა ეთანხმება, — განაცხადა სლუცკაიმ.

მისი განცხადებით, იგეგმებოდა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ძალებზე ოკუპაცია დარქმეოდა, თუმცა, რუსულმა დელეგაციამ ამ ფორმულირების „სამხედრო კონტროლით“ შეცვლა შეძლო.

## უსაფრთხოების გარანტიები ჟენევურად

**ჟენევაში კავკასიის უსაფრთხოების საკითხზე საერთაშორისო კონსულტაციების მესამე რაუნდი გრძელდება. ექვსმხრივი მოლაპარაკებების მონაწილეებმა გუშინ პლენარული სხდომა გამართეს.**

ქართულმა მხარემ სხდომაზე უსაფრთხოების გარანტიებისა და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის დამკვირვებლების დაშვების საკითხები დააყენეს. თუმცა, დამკვირვებლების დაშვებაზე რუსულმა მხარემ და სეპარატისტულმა რეჟიმებმა უარი განაცხადეს.

## გალიდან მოსახლეობა კვლავ განმუხურში გადადის

**გალის რაიონში რუსული სამხედრო ტექნიკის მობილიზება კვლავ გრძელდება.**

**ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, რუსი სამხედროები ე.წ. საზღვრისპირა სოფლებს განსაკუთრებით ამაგრებენ. მოყვანილია რამდენიმე ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი და ტანკი.**

ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მოსახლეობის განცხადებით, აფხაზეთის ტერიტორიიდან მათთან ქალები და ბავშვები თითქმის ყოველ საღამოს გადმოდიან, რადგანაც გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში გაჩერება უსაფრთხო არ არის და, შესაძლოა, რუსმა სამხედროებმა ქართველების წინააღმდეგ რაიმე სახის პროვოკაცია მოაწყონ.

## ოსებმა კიდევ ერთი პოლიციელი დაგვიჭრეს

**გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში გუშინ დილით ოსური მხრიდან სროლისას საქართველოს შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის წევრი სვიმონიშვილი მძიმედ დაიჭრა.**

ქართული პოლიციის ხურვალეთის საგუშაგოს ცეცხლი ოსური სოფლის — წინაგარას მხრიდან გაუხსნეს. სროლა ძირითადად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან წარმოებდა. ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.



ევროკავშირის დამკვირვებლები სოფელ ხურვალეთში შემთხვევის ადგილზე მუშაობენ, სოფელ წინაგარაში შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების საშუალება კი მათ კვლავ არ ეძლევათ.

დაჭრილი სვიმონიშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

განსჯა

# არჩილ გეგეშიძე: საქართველოს აშშ-სგან, როგორც სტრატეგიული პარტნიორისგან, დახმარება და დაცვა სჭირდება

**საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე ინტერპრესნიუსი პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო არჩილ, რამდენად რეალურია აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულების დადება, რომელზეც დღეს ბევრს საუბრობენ და რას უნდა ველოდოთ ამგვარი შეთანხმებისაგან?**

— ორ ქვეყანას შორის ამგვარი ურთიერთობების გაფორმების აუცილებლობა განაპირობა ერთის მხრივ, აგვისტოს მოვლენებმა და იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ისედაც რთული პროცესი კიდევ უფრო შეფერხდა აგვისტოს მოვლენების შემდეგ შექმნილი სტატუს-კვოს გამო. მხედველობაში მაქვს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და ამ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგების პროცესის დაწყება.

ნატოში ინტეგრაცია რომ რთული იყო, გამოჩნდა ნატოს ბუქარესტის სამიტზე, მაგრამ შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გართულდა და, ჩემი აზრით, საქართველოს ნატოში გაწევრება, დროში, განუსაზღვრელი ვადით გაიწელა. ისეთ საქართველოს, რომლის ტერიტორიაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული ჯარები დგანან, რა თქმა უნდა, ნატოში მანამდე არ მიიღებენ, ვიდრე საქართველოს რუსეთთან პრობლემები ექნება და ვითარება ამ რეგიონებში არ შემობრუნდება. რაც არ უნდა ძლიერი იყოს აშშ, სანამ საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია და ჩვენ მას ოკუპანტს ვეძახით და საქართველო რუსეთთან არ აღადგენს მეზობლურ ურთიერთობებს, საქართველოს ნატოში არავინ არ მიიღებს.



ასეთ ფონზე, საქართველოს აშშ-საგან, როგორც სტრატეგიული პარტნიორისგან, დახმარება და დაცვა სჭირდება. აშშ-საც ერთგვარად სახის შენარჩუნების მიზნით სჭირდება რუსეთს შესთავაზოს არასასიამოვნო ნაბიჯი და მიანიშნოს იმაზე, რომ რუსეთს საქართველოს მიერ აშშ-საგან უსაფრთხოების გარანტიების მიღების დაბლოკვა არ შეუძლია. თუ ამას რუსეთი ნატოში ახერხებს, აშშ-ის პოლიტიკაზე რუსეთს ვეტოს დადება ნამდვილად არ შეუძლია.

**— აშშ-ის პრაქტიკაში თუ არსებობს სხვა ქვეყანასთან თანამშრომლობის ამგვარი პრეცედენტები?**

— საერთოდ, აშშ-ს მხრიდან ამა თუ იმ ქვეყნის, ან ტერიტორიის მიმართ უსაფრთხოების გარანტიების მიცემის პრეცედენტები არსებობს. ტაივანი, ისრაელი, მესამე შემთხვევა გახლდათ 1999 წელს, როცა აშშ-მა ბალტიის სამივე ქვეყანა მას შემდეგ დაიცვა, რაც ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოში შესვლის საკითხი დაისვა და საჭირო გახდა მათთვის რუსეთის მხრიდან რაიმე აგრესიული ქმედება აეცილებინა.

მაშინ აშშ-მა ამ სამივე რესპუბლიკასთან ერთდროულად გააფორმა ე.წ. „ბალტიური ქარტია“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო აშშ-სა და ბალტიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პრინციპები. მასში საუბარი იყო ტერიტორიული მთლიანობის გარანტიებზე, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ ქვეყნების ნატოში ინტეგრაციას. აშშ საქართველოს თანამშრომლობას ორმხრივ ფორმატში სთავაზობს. ძნელი სათქმელია როგორი იქნება აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება, მაგრამ „ბალტიის ქარტიაში“ აშშ იღებდა ვალდებულებას ხელი შეეწყო საერთაშორისო ორგანიზაციებში ამ ქვეყნების ინტეგრაციისათვის, კერძოდ, ევროკავშირსა და ნატოში.

„ქარტია“ ითვალისწინებდა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას, ასევე საუბარი იყო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. მაშინ ბალტიის ქვეყნებთან აშშ-ს ამგვარი ურთიერთობები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აშშ-ს ეს ქვეყნები, დღევანდელთან შედარებით სუსტი, ელცინის რუსეთისაგან დაეცვა.

დღევანდელ პირობებში სხვა ვითარებაა და ახლა სხვა რუსეთთან გვაქვს საქმე. რუსეთის გეგმები აგვისტოში გაცხადდა. თუკი აშშ-სთან ამგვარი შეთანხმება გაფორმდება, ჩემი აზრით, მასში საქართველოსათვის უფრო კონკრეტული და ძლიერი უსაფრთხოების გარანტიები უნდა ჩაიდოს. შეთანხმება იმგვარი უნდა იყოს, რომ მან უზრუნველყოს საქართველოს არა მარტო პოლიტიკური დაცვა და მასში ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე.

**— შესაძლებელია თუ არა, რომ ამგვარი შეთანხმება ითვალისწინებდეს საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგებას და რამდენად მისაღები შეიძლება იყოს ეს საქართველოსთვის?**

— საქართველოში აშშ-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგების შესაძლებლობაზე ვერაფერს ვერ გეტყვით. საერთოდ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი მარტო საქართველო-აშშ-ის ორმხრივ ურთიერთობებში გადასაწყვეტი, როგორც ჩანს, არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ამის თაობაზე ამერიკასა და რუსეთს შორის კონსულტაციები ან უკვე მიმდინარეობს, ან მომავალში გაიმართება.



**— ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ თემაზე საუბარს რუსეთისთვის გამაღიზიანებლად მიიჩნევს და შესაბამისად თვლის, რომ აშშ-საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობაზე საჯარო მსჯელობა მიუღებელია. თქვენ იზიარებთ ასეთ მოსაზრებას?**

— ამ და მის საწინააღმდეგო აზრს არსებობის უფლება აქვს. რაციონალური და ლოგიკური საფუძველი ორივე მოსაზრებას აქვს. ერთის მხრივ, რა არის აქ დასამალი და პირიქით, ჩვენ რუსეთს უნდა ვაჩვენოთ, რომ მარტონი არა ვართ და აშშ ჩვენ ბოლომდე გვერდით გვიდგას. თანაც, ადრე თუ გვიან, ეს მაინც ხომ გამჟღავნდებოდა. ეს ხომ ისეთი საკითხი არ არის, რომლის დამალვაც შეიძლება.

რაც შეეხება მეორე პოზიციას და იმას, რომ სიფრთხილეა საჭირო და ამაზე ხმამაღალი საუბარი საჭირო არ არის. ესეც გასაგებია. ამგვარი პოზიცია მოტივირებულია იმით, რომ რუსეთი გაბრაზებული და არარაციონალურია.

რუსეთს შემორჩა და ყოველთვის ექნება დესტრუქციული მუხტი იმისათვის, რომ საქართველოს მიაყენოს მტკივნეული დარტყმები. ასეთი რეალობის არსებობა განაპირობებს იმ ექსპერტთა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ ამ თემაზე საუბარი ნაადრევია, ან ხმამაღლა არ უნდა ხდებოდეს.

**კობა ბენდელიანი**

პოზიცია

# ამ გზამ უფსკრულში გადაგვჩეხა, სად არის ქართული გზა?



**მას შემდეგ, რაც ჩვენი ამერიკულად გაწვრთნილი არმია შიდა ქართლიდან ტყე-ტყე სირბილით მშობლიურ კერას დაუბრუნდა, ხოლო რუსებმა ჩვენი სამხედრო ბაზები ნაცარტუტად აქციეს, ნატოში საქართველოს „გაალიანსებამ“ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. ყველა პოლიტიკური ლიდერი შალვა ნათელაშვილისა და გოჩა ფიფიას გარდა, საქართველოს გადარჩენას ნატოში გაწევრებაში ხედავს.**

როცა კითხულობ, თუ რას ველით საქართველოს ალიანსში შესვლით, პასუხად იმის გარდა, რომ ის საქართველოს „სტაბილურობის გარანტიაა“ და აფხაზეთსაც და ზემო ქართლსაც დაგვიბრუნებს, ვერაფერი მოვისმინე.

ჩვენი უბადრუკი მდგომარეობის „სტაბილურობა“ მაინც რა ბედენაა? არ მესმის. ვერც ის გამიგია, როგორ დაგვეხმარება ზოგიერთისთვის ესოდენ „მომხიბვლელი ნატო“ „დაჭრილი“ საქართველოს „გამთელებაში“.

ხელისუფლება დიდი თავგამოდებით დაადგა ნატოსკენ მიმავალ გზას და უფსკრულში გადავიჩეხეთ. არც ნატომ გვიშველა და არც ჩვენმა გონიერებამ.

რაში გვჭირდება ნატო და რაში ვჭირდებით ჩვენ მას?

თუ პიცბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორს როლანდ ლინდენს დავუჯერებთ, **„ალიანსში გაწევრებისათვის საქართველოს ძირითადი კონტრიბუცია მისი გეოგრაფიული მდებარეობაა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:**

**— შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი;**

**— ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ აზია;**

**— ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.“**

აი, ბატონო პოლიტიკოსებო, თურმე რაში ყოფილა საქმე. ის, რომ ნავთობის გამტარებლები ვართ, ყველამ ვიცით, მაგრამ ახლო აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიასთან მეზობლობა ნატოს რაში სჭირდება? საომრად შემართული ბაზების განსალაგებლად ხომ არა? ეს ბაზები აფხაზეთში და ზემო ქართლში განლაგებული ბაზების სამიზნეები გახდება თუ ირანული რაკეტების იერიშის მოსაგერიებლად გამოგვადგება?

სამაგიეროდ, ბატონი ლინდენი გვარწმუნებს, რომ **„ნატოს წევრობით საქართველოში გამყარდება დემოკრატია“**.

ჩვენ რომ დემოკრატიისგან შორსა ვართ, ეს თვით სააკაშვილმაც კარგად იცის და თუ ნატოს ჯარისკაცების ჩექმა და როზგი არა, დემოკრატიას ეტყობა ვერც ველირსებით. ისე, ძალით შემოსული დემოკრატია ავღანეთსა და ერაყში დასამკვიდრებელ დემოკრატიას ხომ არ ჰგავს?

მთავარი კი, ბატონი პროფესორის აზრით ისაა, რომ **„ალიანსის წევრობის საფასური თუ რისკი გადაუჭრელი ტერიტორიული მთლიანობის საკითხია, რომელიც შეიძლება კონფლიქტებში გადაიზარდოს“**.

კონფლიქტში? უკვე შეიარაღებულ კონფლიქტშიც გადაიზარდა და კიდევ რამდენი ასეთი კონფლიქტია მოსალოდნელი?

შემდეგ პროფესორი აღნიშნავს: **„მნიშვნელოვანია ასევე ის, აქვს თუ არა ნატოს იმის უნარი, რომ კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში შეიძლება გამწვავდეს ნატოს წევრი დასავლეთის ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობა. საქართველომ ასევე უნდა აჩვენოს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება სურს და არ გაამწვავა კონფლიქტი“.**

ჩვენ კი ყველამ ვნახეთ, რომ კონფლიქტის გამწვავების შემდეგ ხელი ამერიკამაც „დაიბანა“ და ევროპის ნატოელმა სახელმწიფოებმაც, ხოლო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შნო რამდენად გვაქვს, აგვისტოს ომმა დაგვიდასტურა.

იქნებ „ნატოს“ დროშით შემოსული თურქი ჯარისკაცები აფხაზეთს „ლანგრით მოგვართმევენ“ და თანაც ოსების მიერ წართმეულ ქართულ მიწა-წყალს დაგვიბრუნებენ?

იქნებ „მოგვართვან“ კიდეც, მაგრამ რის ფასად?

ამას წინათ რუსული ტელევიზიის პირველი არხით კვლავ გაისმა დიდი თურქეთის შექმნის იდეა: **„თურქეთ-კავკასიის კონფედერაცია“!** სწორედ ამ კონფედერაციის შექმნისთვის დაწყებულა „ჩეჩნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა“, სადაც სამხრეთმაც და დასავლეთმაც საკმაო თანხა „ჩადო“ და „ცეერუს“ ემისრებსაც დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ. ყველაფერი კი თურმე „ყარაბაღით“ დაწყებულა და ამ კონფლიქტს დასასრული ჯერაც არ უჩანს. არც აფხაზეთის პრობლემას უჩანს დასასრული, თუმცა, **„ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაცია“**, სადაც სოხუმი დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, რუსეთის „კაგებემ“ ჩაშალა, მაგრამ ჩეჩნეთში ჩადებული ნაღმის აფეთქების ჩაქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ადვილი არ აღმოჩნდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის ომამდელი ინიციატივა საქართველოს დედაქალაქის სოხუმში გადატანაზე, როგორც ჩანს, საქართველოს ამ დიდ კონფედერაციაში გაწევრებაზე ოცნება უნდა იყოს.

იქნებ რუსეთის დასაშინებლად გვინდა „ნატო“? ეტყობა ამისი იმედი გვაქვს. **„თუ ნატოში შევალთ, რუსეთი ვერ დაგვიპყრობსო“,** — ამბობს ზოგი პოლიტიკოსი. იქნებ ესაა „ნატოს“ მთავარი მისია საქართველოში? ნეტა უკრაინაშიც ასე ფიქრობენ?

**„ჩვენ არ დავწყნარდებით, სანამ საქართველო ერთიანი არ გახდება!“** — ბრძანა მთავარსარდალმა სააკაშვილმა და ომი დაიწყო. მაშინ, „ნატოს“ სტაბილურობა რას ნიშნავს? **თუ ჩვენი დაწყნარებაა მისი მთავარი ამოცანა, სააკაშვილი რატომ ვერ დააწყნარა?**

ვერ დააწყნარა, რადგან თვითონ უამრავი პრობლემა ჰქონია გადასაწყვეტი.

მართლაც, „ინტერნეტ-საიტზე“ ერთი ინფორმაცია გამოქვეყნდა, რომელიც ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილისთვის მოულოდნელი იქნება:

„ამას წინათ გამოქვეყნებული აშშ მთავრობის ანგარიში **„გლობალური ტენდენციები 2005: შეცვლილი მსოფლიო“** ამერიკის შეერთებული შტატების მომავალს საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მუქ ფერებში ხატავს, რაც მისი ავტორიტეტისა და ზემოქმედების დაქვეითების, ხელისუფლების დანაწევრებისა და გაჩანაგებულ ბუნებრივ რესურსებზე ბრძოლის შედეგია. ანგარიში შედგენილია აშშ ნაციონალური სადაზვერვო საბჭოს მიერ ამერიკელი პოლიტიკოსების ინფორმაციისთვის იმ ფაქტების შესახებ, რომლებსაც შეუძლია მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენა იქონიონ 2025 წლის ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ერთადერთ მოქმედ გმირად რჩება, მისი ძალა, მათ შორის სამხედრო, შესუსტდება. ამასთანავე, „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა საერთაშორისო არენაზე ახალი ძალების გამოსვლის, ეკონომიკის გლობალიზაციისა და ეკონომიკური ძალაუფლების დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადანაცვლების შედეგად ძირეულად შეიცვლება.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## ზურაბიშვილი ოპოზიციის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა

**სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრას მართავს.**

**როგორც „საქართველოს გზის“ ლიდერმა განაცხადა, აღნიშნული შეხვედრების მიზანია მისი აშშ-სა და ევროპაში გამართული შეხვედრების შედეგების ქართული ოპოზიციური სპექტრისთვის გაცნობა.**



**— მოგეხსენებათ, რომ ვიმყოფებოდი აშშ-სა და ევროპაში. შევხვდი დასავლურ ლიდერებს და ახლა ამ შეხვედრების შესახებ ოპოზიციის წარმომადგენლებს ერთგვარ ანაგარიშს ვაბარებ. გარდა ამისა, ჩემთვისაც საინტერესოა თავად ოპოზიციის სამომავლო გეგმები, — განაცხადა ზურაბიშვილმა.**

**გარდა ამისა, სალომე ზურაბიშვილმა მოამზადა შეხვედრა აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასა და ქართულ ოპოზიციას შორის. ზურაბიშვილის ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრა 2009 წლის მარტში გაიმართება. ოპოზიციონერებს აღნიშნული ინფორმაცია სალომე ზურაბიშვილმა თავად მიაწოდა.**

## რუსეთის საელჩო ცხინვალში თებერვლიდან ამოქმედდება

**ცხინვალში რუსეთის ფედერაციის ე.წ. საელჩო 2009 წლის თებერვალში დაიწყებს მუშაობას. როგორც სააგენტო „იუგა.რუ“ იუწყება, ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ე.წ. ელჩმა ელბრუს კარგიევმა განაცხადა.**

**ამჟამად საელჩოს შტატების დაკომპლექტება მიმდინარეობს, რომელიც 30 ადამიანისგან შედგება. ასევე მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა. სრულმასშტაბიანი მუშაობის დაწყება კი მომავალი წლის თებერვლიდან იგეგმება, — განაცხადა კარგიევმა.**

**დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ე.წ. საელჩოსთვის განკუთვნილი შენობის აღდგენითი სამუშაოები სრული სვლით მიმდინარეობს.**

## აფხაზები თურმე დევნილებზე ზრუნავენ

**აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი დევნილების დაბრუნებას დაუშვებლად მიიჩნევს. ამ პოზიციის მოტივად დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გვინჯიამ გუშინ ჟენევაში უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა დაასახელა.**

**გვინჯია მიიჩნევს, რომ ვიდრე უსაფრთხოება არ იქნება უზრუნველყოფილი, დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყება დაუშვებელია.**

**ამის შესახებ სოხუმი ჟენევის შეხვედრის წინაც აცხადებდა.**

## საკრებულოს კორუფციაში ადანაშაულებენ

**„ლეიბორისტული პარტია“ თბილისის საკრებულოში დამტკიცებულ ბიუჯეტს იწუნებს.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული“ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა და თბილისის საკრებულოს წევრმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში ერთი და იგივე ხარჯები სხვადასხვა პროგრამებშია ჩადებული, რაც კორუფციის მანიშნებელია.**

**ერთი და იგივე მუხლები სხვადასხვა პროგრამებშია დაფიქსირებული. მაგალითად, ძეგლებზე და მიწისქვეშა გადასასვლელებისთვის მოვლის ხარჯები გარეგანათების პროგრამების პროგრამაშიცაა ჩადებული. ასევე, თავისუფლების მოედანზე ნათურებით გაკეთებული ნაძვის ხის წლევანდელი ხარჯი 270 ათასი ლარი ყოფილა, რომელიც არსად არ არის გაწერილი. იგივე ნათურების ნაძვის ხე იყო შარშანაც თავისუფლების მოედანზე. ეს ჩამონათვალი მცირედია. ახალ ბიუჯეტში ბევრი რამ ისეა გაწერილი, რომ კორუფციის ნიშნები იკვეთება, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.**




**როგორც ჯიბლაძემ აღნიშნა, 2 დღის წინათ გამართულ საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც თბილისის მერი გიგი უგულავა ესწრებოდა, მას საშუალება არ მიეცა იმ კითხვებზე პასუხი მიეღო.**

ინტერპრესნიუსი

პოზიცია

# ამ გზამ უფსკრულში გადაგვჩეხა, სად არის ქართული გზა?

(მესამე გვერდიდან)

მიუხედავად ანტიამერიკული განწყობის ზრდისა, შტატები ალბათ შემდგომაც განიხილება, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და აზიის რეგიონალური სტაბილიზატორი. ამერიკული არმია გააგრძელებს მთავარ პარტიას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა მას მოკავშირეებისაგან დიდი მხარდაჭერა დასჭირდება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ კონკურენტად ანგარიშში დასახელებულია ჩინეთი. სწორედ ამ ქვეყანას ექნება მსოფლიოს განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა უახლოესი 20 წლის განმავლობაში. სწორედ იქ, 2025 წლისთვის განვითარდება მსოფლიოში სიძლიერით მეორე ეკონომიკა და არმია. თავს წამოწევენ ასევე ინდოეთი, ინდონეზია, ირანი და თურქეთი. გაიზრდება კონფლიქტები, რომელთა მიზეზი გახდება ბრძოლა ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად.

ასევე გაგრძელდება ბრძოლა ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების სფეროში. არაა გამორიცხული XIX საუკუნის სცენარის განვითარება, ანუ გამალებული შეიარაღება, ტერიტორიული ექსპანსიები და სამხედრო დაპირისპირებები, ტერორიზმი დიდ პრობლემად დარჩება, თუმცა, მისი მიზნები შეიძლება სერიოზულად შეიცვალოს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ლიბერალიზაციის გამო".

ცოტა დიდი ციტატა გამომივიდა, მაგრამ ეს ხომ აშშ-ს მთავრობის ანგარიშიდანაა ამოღებული და მისი შეკვეცა უხერხულიც კია. მაგრამ იმავე ანგარიშს თუ დავუჯერებთ:

„ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ჩააფლავეს აშშ-ს შესახებ ზოგადი ერუდიციის ტესტები, სადაც ძირითადი კითხვები ისტორიას, ეკონომიკას და სახელმწიფო მოწყობას ეხებოდა. ჩინოსანთა საშუალო შეფასება 44 პროცენტი აღმოჩნდა მაშინ, როცა რიგითი ამერიკელების შეფასება მართალია პოლიტიკოსებზე უფრო მაღალი, მაგრამ არც იმდენად — 49 პროცენტია".

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ **„ტესტის ავტორები გააოცა ამერიკელების ცოდნის ესოდენ დაბალმა დონემ, მაგრამ პოლიტიკოსების ცოდნის კიდევ უფრო დაბალმა შედეგმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. გაჩნდა კითხვა: ასეთ ხალხს როგორ შეუძლია ქვეყნის მართვა?"**



ნაციონალური მოქალაქეობრივი განსწავლულობის ტესტი 33 კითხვისგან შესდგებოდა, რომელიც ისტორიის, ეკონომიკისა და ამერიკის ხელისუფლების საკითხებს მოიცავდა. კითხვარზე პასუხი 2500 რესპონდენტმა გასცა. მათ შორის რჩეული პირებიც იყვნენ, რომლებიც ამერიკის ისტორიას ძნიდნენ.

„ერთ-ერთი კითხვა იყო: „დაასახელეთ აშშ-ს მტერი ორი ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის დროს". მასზე სწორად 69 პროცენტმა უპასუხა, რომლებმაც გერმანია და იაპონია დაასახელეს. არასწორ ვარიანტებს შორის შეხვდებოდით ქვეყნებს: ჩინეთს, რუსეთს, ესპანეთს, მექსიკას, კანადასა და დიდი ბრიტანეთს.

საინტერესოა, კითხვარში რატომ იყო მითითებული ორი ქვეყნის დასახელება და არა სამის? ეტყობა ტესტის შემდგენლებს იტალიაც რომ ეგულისხმათ, სწორი პასუხი 69 პროცენტზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდებოდა. იქნებ არც იმათ იციან, რომ დუჩეს იტალიაც გერმანელების მხარეს იბრძოდა?

„44 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ შტატების პრეზიდენტს უფლება აქვს, ომი გამოაცხადოს მაშინ, როცა ეს საკითხი კონგრესის პრეროგატივაა. თუმცა, ყველაზე ცუდად საქმე ეკონომიკის ცოდნაში გამოიხატა".

ყოჩაღ, ამერიკა! მათთვის ხომ არ გვეთხოვა ჩვენი პოლიტიკოსების ტესტირების ჩატარებაც? იმედია, ჩვენი პოლიტიკოსები ოკეანისგაღმელებს თავისუფლად დაამარცხებენ, რადგან პოლიტოლოგიის პროფესორებიც უხვად მოვიმრავლეთ და ექსპერტებიც, მაგრამ ჩვენ სხვა რისი იმედი გვრჩება?

როგორ დავაღწიოთ თავი იმ უფსკრულს, რომელშიც ამ უგუნურმა, უფრო სწორად, დანაშაულებრივმა (თუნდაც პროვოცირებულმა) ომმა გადაგვჩეხა?

ცხადია, სააკაშვილის ხელისუფლება უნდა წავიდეს, მაგრამ მოვა კი ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება?

გაამერიკებული ქართველი პოლიტიკოსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **მხოლოდ მაღალი ღმერთის იმედი უნდა გვქონდეს, რომ ღვთისმშობლის წილ ქვეყანას არ გასწირავს!**

მე არც რუსის ჯარი მინდა საქართველოში და არც ნატოსი! რუსეთმა და ამერიკამ ერთმანეთში სადმე სხვაგან იომონ. რეფორმატორულმა გზამ, რომელიც ამერიკამ გვირჩია, უფსკრულში გადაგვჩეხა. ქართული გზა ჯერ კიდევ დასადგენია.

**მერაბ ჯიბლაძე.**
**„ქართული აკადემია"**

მხარე

## შირაქში ქარსაფარი ზოლები გაშენდება

**ამ დღეებში დედოფლისწყაროში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსი მაჭავარიანმა, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) პროექტის დირექტორმა ფრენკ ფლაშემ, სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის დირექტორმა გიორგი შუხოშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლევან ბალაშვილმა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობის პროექტის „კლიმატით განპირობებული დეგრადირებული ლანდშაფტების რეაბილიტაცია საქართველოში" განხორციელებას.**

**პროექტის მიზანია, უზრუნველყოს ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია დედოფლისწყაროში და მოახდინოს საქართველოს მთავრობის ხელშეწყობა გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციასთან ბრძოლაში. იგი ორ წელიწადში დასრულდება.**

**გამგებლის მოადგილე გელა თეთრაული, გერმანული მხარის მიწვევით, საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიაში, როგორც მან აღნიშნა, არის მცდელობა მომზადდეს დედოფლისწყაროს ლანდშაფტური დაგეგმარების პროექტი, რაც ხელს შეუწყობს დედოფლისწყაროში ტყეების განაშენიანებას და ბევრ სხვა სასიკეთო საქმეს.**

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

წკეპლიკა

## როგორ არ მოგინდება იმა შეხვედრის ქება...

**ქვეყნის პრეზიდენტი შეხვდა ჟურნალისტებს. მოიცალა, როგორც იქნა, თუმცა ვაი ამ შეხვედრას და ვუი იმას, რაც მოვისმინე.**

ისე, მაინტერესებს, რა ნიშნით არჩევენ „შეხვედრად" კალმოსნებს, როგორ ამოწმებენ და ჩხრეკენ, სანამ პირველი პირის „პირისპირ" მართკუთხა მაგიდასთან დასხდომის ნებას მისცემენ და ჟურნალისტებად თუ სტენოგრაფისტებად აღიქვამენ — მე იმათგან დასმული შეკითხვა არ „მინახავს" და...

მოვისმინე კი მორიგი მონოლოგი, რომელიც (მონოლოგი) სულ არ საჭიროებდა კალმოსნებთან შეხვედრას: ესაოდა ახალი არჩევნები არ გამაგონოთ, მილიარდი-მილიარდნახევარი ლარი ჯდებაო...

შე კაი დედისშვილო, 2003-ში რომ დიდი ნოემბრის ნაციონალური რევოლუცია მოაწყვე და ახალი არჩევნებისკენ გააქანე ქვეყანა, მაშინ იაფი იყო და ახლა გაძვირდა? მაშინ არ გაწუხებდა და არ გაშინებდა „ნივთების სიძვირე და სიდიდე"? (ი. გრიშაშვილი).

და კიდევ: ესაოდა, 2013 წლამდე ძვრასაც ვერ მიზამთ, მერე წავალ და სხვა მოვა ტურფასა საჯიჯგნაოსა, აღარ ვაპირებ გაგრძელებასაო... აი, თურმე რისი გაცხადება სურდა და საამისოდ ჟურნალისტებთან შეხვედრის (ვითომ შეხვედრის) ფორმა აირჩია... კი მაგრამ, 2013-მდე გაძლება არ გინდა? ნეტავ, ყველას კარგად ყოფნით, აგვისტოს შემდეგ წასულიყო, დარჩენილის გაყიდვის შიში მაინც არ გვექნებოდა.

ჟურნალისტებთან შემდეგ შეხვედრამდე!..

**ლუკა გორგაძე**



რეპლიკა

## „შევრცხვებით საერთაშორისო მასშტაბით!"

**კარგა ხნის წინათ ჟურნალ „ამერიკაში" ერთი ფოტო გამოქვეყნდა. ფოტოზე, ბაღში მოფუსფუსე თოხიანი პოლიტიკოსი იყო გამოსახული და მისი კეთილი ღიმილი გულს გითბობდა მნახველს, მაგრამ რა გინდა, რა?** — ეს პოლიტიკოსი, თურმე „პოლიტიკურ სარბიელამდე" კაპიტალისტ-ბიზნესმენი ყოფილა! კაპიტალისტებს კი, მოგეხსენებათ (რბილად რომ ვთქვათ) არ წყალობდნენ საბჭოთა ქვეყანაში!.. თუმცა მთავარი ეს არ არის! მთავარი არის ის, რისთვისაც იყო ეს კაცი თოხით ხელში გადაღებული.

თურმე, ათეულობით წლის მანძილზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულს დადგომია საპენსიო ასაკი და გასულა კიდეც (როგორც სსრკ-ში იტყოდნენ) „დამსახურებულ დასვენებაზე". ახლა კი, თავის ბაღს უვლიდა ბედნიერად.

მეტად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ ეს პიროვნება, მე აქ, ასე ფამილარულად (შინაურულად), „კაცი"-მეთქი, რომ მოვიხსენიებ, მაგრამ მისი გვარის დასახელებისგან თავს ვიკავებ. რა ვიცი, არ ეწყინოს, კაცო, და ამ, „აშშ-საქართველოს მეგობრობის" ხანაში რაიმე სკანდალში არ გავეხვე. წურც თქვენ დამაძალებთ, უფალო მკითხველო. იყოს ასე — „კაცი" ვუწოდოთ! მით უფრო, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მის სახელს იმ სათქმელისთვის, რაზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება.

როგორც კი ამ კაცს პოლიტიკოსობა გადაუწყვეტია, „სათანადო სამსახურებს" ზუსტად აღურიცხავთ მისი ქონება, რომელიც დააგროვა ბიზნესმენობის პერიოდში და „ბეჭედი დაურტყამთ!" მერე კი, როცა „თავის ბაღს" დაუბრუნდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელახლა დამსხდარან ის „სათანადო ორგანოები" და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დროინდელი კანონიერი შემოსავალი შეუდარებიათ იმ ქონებასთან, რომელიც საბოლოოდ დაუგროვდა და „კაპიკი კაპიკზე დამჯდარა". გაირკვა, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის დროს, ისე „სუფთად" და პატიოსნად ულვაწია, რომ საბოლოოდ ერთი ცენტიც არ ჰქონია, თურმე, ზედმეტი ხელფასის გარდა! და „ამერიკა" ამით იწონებდა თავს,



— აი, ჩვენთან როგორი დემოკრატიააო! ერთ-ერთმა საბჭოთა გაზეთმა კი, ფელეტონი გამოაქვეყნა ამ ამბავზე(?!)...

მე კი (უნდა გაგიმხილოთ!) მაშინაც ერთობ მომეწონა ამერიკის „დემოკრატია", მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და...

...ახლა, ყველაფერი ეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ნათქვამმა გამახსენა და ავღელდი: — „ხელისუფლება გაზაფხულზე უნდა წავიდესო!"

კი, ბატონო, წავიდეს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მაგრამ ისე არ გაუშვათ, რომ „ხელფასი" არ დავუთვალოთ, თორემ ვინ ამოიღებს მერე, „გაბნეულ" მილიონებს?!

...ჩვენ კი, ხუტა უფროსისა არ იყოს, ხომ „შევრცხვებით საერთაშორისო მასშტაბით!"

**ზაურ ფიფია.**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

მიაქციეთ ყურადღება სახელმწიფო საბჭოს მსჯელობის მსვლელობას. იგი თავიდანვე აყენებს დილემას: ან ინკორპორაცია, ან ბედის ანაბარა დატოვება; შემდეგ, ჩამოთვლის იმ აურაცხელ უბედურებას, რომელიც მოჰყვებოდა საკითხის მეორეგვარ გადაწყვეტას (ე.ი. ქვეშევრდომობაში არმიღების შემთხვევაში); რჩება **მხოლოდ** პირველი გამოსავალი, ე. ი. სრული შემოერთება, ვინაიდან სხვაგვარ კომბინაციებს საბჭო საერთოდ არ ახსენებს. სწორედ საკითხის ასეთი დაყენების შედეგად მივიღეთ, რომ გენ. კნორრინგს უნდა გადაეწყვიტა ის, რაც უკვე დიდი ხანია, უკნორრინგოდაც ცნობილი იყო.

შეუძლია საქართველოს, სრულიად დამოუკიდებელი სამეფო იყოს? მაგრამ იგი საუკუნეთა მანძილზე ეძებდა დახმარებას რუსეთთან, და სწორედ ამის გულისთვის ჰქონდათ ელჩობების მისვლა-მოსვლა. და, ბოლოს, რალაცისთვის ხომ ეძიებდა ერეკლე ეკატერინეს მფარველობას?

შემდეგ, მართლაც ყველას საერთო თხოვნაა ქვეშევრდომობის თხოვნა?

მაგრამ, არსებითად თუ ვიტყვით, ეს კი არ იყო მთავარი, არამედ ის, თუ რა ქვეშევრდომობას ეძიებდნენ. ეშურებოდნენ, ვიმეორებთ, ქვეშევრდომობას მეფესთან და ქვეშევრდომობას — ორმხრივი აქტით.

## 4.

იმპერატორმა ალექსანდრემ გაიზიარა სახელმწიფო საბჭოს აზრი და, ამ უკანასკნელის განზრახვის თანახმად, დაავალა გენერალ კნორრინგს, გამგზავრებულიყო საქართველოში და დარწმუნებულიყო ადგილზე: 1) ნამდვილად ისეთია ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომ იგი აუვა საკუთარი ძალებით თავის უვნებელყოფას გარედან და შინაომების აღმოფხვრას? 2) ერთსულოვნად და საკუთარი რწმენით ეძებდნენ წოდებანი ქვეშევრდომობას, თუ ეს ზემოქმედებისა და ჩაგონების ნაყოფია?

ასეთი გახლდათ მისია, გენერალ კნორრინგს რომ დაეკისრა 1801 წლის 19 აპრილის უმაღლესი რესკრიპტით.

არსებითად, ცოტა არ იყოს, უცნაურია, დაავალო რუს გენერალს, თანაც, საქართველოში მთავარსარდლობის უეჭველ კანდიდატს, — თითქოსდა, იმის ექსპერტიზა, თუ რა შეუძლია და რა სწადია საქართველოს, როდესაც თანადროულად ამისა, იგივე აპრილის თვეში, ქართველმა რწმუნებულმა მოციქულებმა კვლავ შემოიტანეს ნოტა, რომელიც მათს მარწმუნებელთა სურვილს გამოხატავდა, და ამაოდ ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ საკითხი მათი მონაწილეობით გადაწყვეტილიყო.

სანამ გენერალი კნორრინგი ადგილზე ეცნობოდა საქართველოს საქმეებს, სახელმწიფო საბჭოში განსახილველად შევიდა ორი დიდმნიშვნელოვანი არზა საქართველოს თაობაზე; სახელდობრ, 3 ივნისს საქართველოს ქვრივი დედოფლის დარეჯანის არზა იმის შესახებ, რომ საქართველო უწინდელ, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებულ მდგომარეობაში დაეტოვებინათ; ხოლო 4 ივნისს წაიკითხეს დავით ბატონიშვილის არზა მისთვის ქართლის მეფობის მემკვიდრეობის შენარჩუნების შესახებ. მაგრამ ამ საგანთა განხილვა საბჭომ გადადო იქამდე, სანამ გენერალი კნორრინგი საქართველოდან დაბრუნდებოდა („მთავარსარდლის საქართველოში ყოფნა ერთობ ხანმოკლე იყო... იმპერიასთან შემოერთებული ამ ოლქის სანახავად ვერა და ვერ მოიცალა, რადგან მთელი ამ დროის მანძილზე თბილისში ცხოვრობდა". სოკოლოვი, Путешествіе въ имеретію съ линіи кавказской etc,118. ეს სოკოლოვი საიდუმლო დავალებით იყო ჩასული იმერეთში 1802 წელს).

22 მაისს კნორრინგი თბილისს ჩაბრძანდა და დაიწყო მისი გაცნობა საქართველოსთან. აღმოჩნდა, რომ დავით ბატონიშვილმა, რომელიც „საქართველოს რწმუნებულმა მოციქულებმა განმგეობაში მონაწილეობისთვის დაუშვეს, ადგილობრივი სამხედრო სარდლობის ხელმიშვებით, წინანდელი სამეფო ძალაუფლების თითქმის მთელი უფლებები მიითვისა".

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო ამ გარდამავალ დროს, რუსეთის საოკუპაციო რაზმი არ დაუშვებდა ვისიმე გამოცხადებას მეფედ; მაგრამ მან არ შეუშალა ხელი დავითს, დროებით „თითქმის" მეფედ დამდგარიყო.

ერეკლეს ანდერძის დამცველნი, იულონის მომხრენი, პარტია, რომელიც, საერთოდ, უფრო კონსერვატიული (და უფრო მრავალრიცხოვანი) იყო, ვიდრე დავითის პარტია, — რუსი მმართველობის თვალში — უკვე ნამდვილ მოჯანყეებად გამოიყურებოდნენ (თუმცა, მით უფრო ადრე დაუწყეს ასეთი თვალით ყურება, აი, გენერალ ლაზარევის 1801 წლის 26 იანვრის მოწოდება: „უწმინდესო სამღვდელოებავ, უზრწყინვალესო თავადნო, პატივცემულო აზნაურნო და ხალხო ქართლისა!... მ-ი უგ-სობის უფლისწულისა და ტახტის მემკვიდრის დავითის მიერ გამოგეგზავნათ თქვენ მანიფესტი, უმაღლეს კარზე ყოფილი რწმუნებული მოციქულების თავადების ავალოვისა და ფალავანდოვის ხელით, თქვენი ნეტარხსენებული მეფის სახელზე მის მიერ მიღებული უმაღლესი სიგელის ძალით, რომლის საფუძველზეც მ-ი უგ-სობა უფლისწული მართავს ქართლის სამეფოს უმაღლესი ნების შემთხვეულებამდე"... მაგრამ იქ ბევრნი არ ასრულებენ ამას: „სამღვდელოება მორჩილებას უცხადებს მეფეს, რომელიც არ არის (ე.ი. იულონს), ვინაიდან ჯერ არავინ დაუნიშნავს ხელმწ. იმ-ორს და ეს სრულიად ეწინააღმდეგება მის უმაღლეს ნებას; სწორედ ამიტომ გთავაზობთ, თავი ანებოთ ასეთ კადნიერებას"... ურჩებს კი იძულება მოელით. Акты, ტ.I, №363, გვ. 298-299). მათ რამდენჯერმე გამოუცხადეს, რომ დავით ბატონიშვილი არის იმპერატორისგან დამტკიცებული მემკვიდრე, ხოლო დავითს, იგივე უმაღლესი ნებით, არ აძლევდნენ უფლებას, მეფედ გამოეცხადებინა თავი. შემდეგ, შეერთებასთან დაკავშირებით, — სრული გაურკვევლობაა, პავლეს მანიფესტი ეკლესიებში გამოქვეყნდა, ხოლო როდესაც რუსის ჯარმა ერთგულება შეჰფიცა ტახტზე ასულ ალექსანდრეს, ქართველებს ფიცი არ დაადებინეს. ბევრმა ეს ისე გაიგო, რომ საქართველოს ისევ საერთოდ გაეცლებიანო.

გაითვალისწინეთ შფოთიანობა მეზობელ ქვეყნებში, სპარსეთის, დაღისტნის მუქარა, გაიხსენეთ, რომ ლაპარაკია ხალხზე, რომელსაც უკვე არაერთგზის გაუტეხეს გული, და რომელიც ეძიებდა ქვეშევრდომობას, რათა გაეუმჯობესებინა, და არა გაეუარესებინა თავისი ბედი; და თქვენ მიხვდებით, რომ გენერალ კნორრინგს არ დაუხვდებოდა საქართველოში არაფერი, გარდა იმ არეულდარეულობისა, რომელიც აღწერა თავის ანგარიშში ხელმწიფისადმი.

მაგრამ შემდეგ, მას მოსდის იგივე შეცდომა, რაც — ბევრ სხვა ოფიციალურ მეთვალყურეს: მათი თვალი, პლაც-პარადებისა და კანცელარიის წესებს რომ იყო ჩვეული, საქართველოში ხედავდა მხოლოდ ქაოსს და უწესრიგობას. მაგრამ „ირეგულარობა" ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიცოცხლისუნარიანობის არარსებობას. ბარბაროსობის, პატრიარქალურობისა და პატრიოტიზმის თვალწარმტაცი შეხამება, მთელი სურათი ქართლის ცხოვრებისა, საუკუნეთა მანძილზე რომ ატარებდა თავის წიაღში გადაუწყვეტელ საპოლიტიკო პრობლემას, — შეურაცხყოფდა კარგად გახედნილ, თვალებში მოციცინე მოსამსახურეებს — სამხედროებსა და საეროებს.






კნორრინგი იუწყება საქართველოში არსებულ ათასგვარ პრობლემებზე, და, არსებითად, არაფერს ამბობს ახალს; **უარყოფითს** პასუხს სცემს კითხვას, გაძლებს, თუ ვერა, საქართველო დაუხმარებლად, და **დადებითს** — კითხვას, ერთსულოვნად სურთ, თუ არა, ქართველებს ქვეშევრდომობა.

საკითხის დაყენებამ, სახელმწიფო საბჭომ რომ დაუშვა და, შემდეგ, იმპერატორის რესკრიპტში გადავიდა, გადაწყვიტა სწორედ კნორრინგის მისიის ბედი.

რა ექსპერტი სჭირდებოდა საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობის დამოწმებას? რომ აღარაფერი ვთქვათ ცნობებზე, საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივებში რომ ვერ ეტეოდა, მეფეთა მთელ რიგ სიგელებში ქვეყნის უბედურება პატრიოტიზმისა და ტანჯვის მთელი მჭევრმეტყველობით არის აღწერილი.

მაგრამ გენერალი კნორრინგი, ისევე როგორც სხვა მრავალი, ჩავიდა — და დაინახა მხოლოდ უწესრიგობა, უწესრიგობა ყველგან და ყველაფერში; მისგან არც იყო მოსალოდნელი მოსაზრებები, მოვლენების უფრო ლალ შეფასებაზე, უფრო ფართო საპოლიტიკო შეხედულებებზე რომ იქნებოდა დამყარებული. რაღაც უნდა დასჯდომოდათ, დაენერგათ ყველგან კეთილკრძალებულება — აი, რა იყო ამ ადამიანებისათვის საქართველოს საკითხის „ანი და ჰოე". მას არ შეეძლო, არ შეემჩნია, როგორ უხაროდა მოსახლეობას მისი ჩამოსვლა, რადგან ეს იმის საწინდრად ეგულებოდა, რომ ჯარებს აღარ წაიყვანენ. მაგრამ გენერალმა აქედან გამოიტანა ერთი დასკვნა, რომ საჭიროა ქვეშევრდომად მიღება — სრული და უცილობელი; ამ დასკვნამ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო უმაღლესი დასტურიც — მაგრამ უახლოესი წლების შფოთიანობამ ცხადყო, რომ ყველაფერი მთლად ასე არ იყო, რომ ეძიებდნენ ქვეშევრდომობას, ოღონდ — არა ასეთს.

გენერალ კნორრინგის მოხსენება იმპერატორს გადაეცა 1801 წლის 28 ივლისს. მაგრამ ოთხი დღით ადრე, 24 ივლისს, ხელმწიფეს წარედგინა დოკუმენტი, რომელიც დიდ საისტორიო ინტერესს იპყრობდა და საერთო არა ჰქონდა რა ყოველივე იმასთან, რაც ჩვენ აქამდე ვნახეთ, — არც სიღრმით, არც პრინციპების სიცხადით და არც არგუმენტების ძალით. გამოჩნდნენ ერისკაცები, რომლებმაც საქართველოს შემოერთებაში ხედავდნენ რაღაც უფრო რთულს, ვიდრე რუსეთისათვის ხელსაყრელ ოკუპაციას ქვეყნისა, მის დახმარებას რომ ეშურებოდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გრაფ ა. ვორონცოვისა და გრაფ ვ. კოჩუბეის (არაოფიციალური კომიტეტის მოსაზრებათა გამომხატველებისა) ყოვლად ქვეშევრდომებრი მოხსენება საქართველოს შესახებ (არქივი, ib, გვ.1200-1207. შეგახსენებთ, რომ ეს გრ. ვორონცოვი იყო ძველი თაობის კაცი, მაგრამ მნიშვნელოვანწილად იზიარებდა არაოფიციალური კომიტეტის მოსაზრებებს, ხოლო კოჩუბეი — ერთ-ერთი უმთავრესი გამომხატველი იმ გამათავისუფლებელი მიმდინარეობისა, რომელმაც რუსეთს წინა მეფობის ბედუკუღმართობა დაავიწყა) თუ იმპერატორ ალექსადრეს ორჭოფობა იყო მხოლოდ მერყეობა უწესობის მოზიზღარი კაცისა, აქ ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ როგორც ზოგად მოსაზრებებს, ისე სპეციალურ მტკიცებულებებსაც.

უწინარეს ყოვლისა, მომხსენებლები შეახსენებენ იმპერატორს მისი პოლიტიკის ძირითად პრინციპს: იზრუნოს არა ისედაც მეტისმეტად ვრცელი სახელმწიფოს საზღვრების კიდევ უფრო გავრცობაზე, არამედ მის შინაგან კეთილგანწყობილებაზე. ეს პრინციპული მოსაზრება საკმარისი იქნებოდა თვით „საქართველოს მითვისების" აზრის უარსაყოფად; მაგრამ არსებობს კიდევ ბევრი სხვა მოსაზრება ამის საწინააღმდეგოდ.

როგორი იყო ეკატერინე II-ის პოლიტიკა საქართველოს მიმართ? ყირიმის შემოერთებისა და იასის ტრაქტატის გარანტიების შემდეგ, შეიძლება ითქვას, კავკასიონის საზღვარი უვნებელყოფილი იყო, და იმპერატრიცას არასდროს არ ჰქონია განზრახული საქართველოს შემოერთება; ხოლო თუ მიიღო კიდეც თავისი მფარველობის ქვეშ, ეს მოიმოქმედა აზიის ამ ნაწილში თავისი გავლენის ინტერესებისთვის, რუსეთის როგორც ქრისტეანთა მფარველის ინტერესებისთვის, და, ბოლოს, იმისათვის, რომ იქ პორტა ვერ დამკვიდრებულიყო.

იმპერატორი პავლე თავიდან საკმაოდ გულგრილად უყურებდა საქართველოს და ძლივს დათანხმდა მისთვის ორი ბატალიონის შეშველებას, სპარსეთისაგან მოსალოდნელი საფრთხის გამო, მაგრამ შემდეგ, მისი აზრთა წყობა შეიცვალა, და გადაწყვიტა, საქართველო რუსეთისათვის შემოეერთებინა, „როგორც ირკვევა, იმ ნაირ-ნაირი უსაფუძვლო ცნობების და ხრიკების გამოისობით, რომლებმაც უკიდურესად გააზვიადეს ამ შენაძენის მნიშვნელობა".

თუ ერთმანეთს შევუდარებთ იმპერატორ პავლეს მოტივებსა და სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებებს, უკვე იმპერ. ალექსანდრეს დროს გამოთქმულს, საქართველოს რუსეთის სკიპტრის ქვეშ დატოვების სასარგებლოდ, დავინახავთ, რომ საქართველოს შემოერთების არგუმენტად იშველიებენ, ჯერ ერთი, იმპ. პავლესადმი საგარეო საქმეთა კოლეგიის „აპრობაციაგავლილ" მოხსენებას, რომელიც ამტკიცებს, თითქოს საქართველოს მოსახლეობა 800,000-მდეა, მაშინ როდესაც გენერალ კნორრინგს 160,000-ც ეძევრება; მეორე, ვითომდა ხალხის საერთო სურვილით; საკითხავია, როგორ შეძლო ასეთი ერთსულოვნების გამოხატვა სოფლად დაფანტულმა ხალხმა და პარტიებად დაყოფილმა თავადაზნაურობამ? და ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ ბატონიშვილები, რომლებსაც უფლებები აქვთ ტახტზე, ასე ჰაიჰარად დათმობენ ამ უფლებებს?

ეს ორი პუნქტი ეხება ჯერ კიდევ იმპ. პავლეს მანიფესტს. შემდეგ მოდის სამი მოტივი, რომლებიც, უპირატესად, სახელმწიფო საბჭომ წამოაყენა. მესამე — საქართველოს მადნების სიმდიდრე; მეოთხე, მარჯვეობა მთიელი ხალხების „ასალაგმავად"; მეხუთე, საფრთხე, რომ საქართველოდან წასვლის შემდეგ იგი პორტას დარჩება, და მაშინ დიდი ვნება მიადგება რუსეთს.

მაგრამ საბჭოს სურს, საქართველოს შემომტკიცება მიაბას სპარსეთთან დაკავშირებული ძველი ზრახვების აღორძინებას! რა არის კასპიისპირა ნაპირები, — ეს რუსეთმა კარგად იცის სპარსეთში პეტრეს ლაშქრობის მწარე გამოცდილებით, რომელიც ასე ძვირად დაგვიჯდა, როცა „თავისი კუზო ნახა" იქაური ჰავის პირობებში? (მარტო ეს არგუმენტი ცხადჰყოფს, რომ ახალი სკოლის ადამიანები ლაპარაკობენ. ეს არ არის პოტიომკინის და ზუბოვის ლათაიები). ტყუილად კი არ დაუბრუნა იმპ. ანა იოანეს ასულმა სპარსეთს ზიძამისის მთელი მონაპოვარნი. ლაპარაკობენ სპარსეთთან და თვით ინდოეთთან ვაჭრობაზე, მაგრამ განა არ არის ნათელი, განა საუკეთესო პოლიტიკოსებიც არ აღიარებენ, რომ ყოველმა ახალგაზრდა სახელმწიფომ უნდა იზრუნოს თავისი მკვიდრი მრეწველობის განვითარებისათვის და არა სარისკო შორეული სპეკულაციებისათვის? ასტრახანის ვაჭრობის გასაცოდავებული მდგომარეობა, სულ უფრო და უფრო რომ უარესდება, საკმარისი დასტურია ამისა და ბოლოს, სად არის ეს კაპიტალები? ისინი არ არის.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 203-230.

◎ რამდენიც კაცია, იმდენი აზრია



# მოსაზრება საქართველოს განვითარების სტრატეგიულ კურსზე

## სიტყვას ითხოვს მკითხველი

**საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგიული კურსი სწორად არის განსაზღვრული, დასახვეწია ტაქტიკა.**

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა ეფუძნება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების მიერ მკაცრად განსაზღვრულ კურსს – პირდაპირი (და არა რუსეთის გავლით, როგორც ეს სურს რუსეთსძ კავშირების დამყარება ევროპასთან, ევროსტრუქტურებსა და „ნატოში" გაწევრება, რაც სავსებით გამართლებულია და ქართველი ხალხის ნებაცაა.

რუსეთთან ურთიერთობიდან გამომდინარე, ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა უმოკლეს დროში საქართველოს „ნატოში" გაწევრება, რათა დაცული ვიყოთ ჩრდილოელი მეზობლის აგრესიისაგან. მანამდე უნდა გამოინახოს თავდაცვის სხვა საშუალებები – ხელშეკრულება სამხედრო დახმარებაზე რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, ჯარის სამივე სახეობის შორამპლიტუდიანი საფრენი აპარატებითა და დანადგარებით აღჭურვა და სხვ.

როგორც ბრიუსელის სამიტმა დაგვანახა, ხელისუფლების ძალისხმევა „ნატოში" გაწევრებისთვის საკმარისი არ არის. საჭიროა მეგობარ ქვეყნებთან სხვა ენის გამონახვა და ურთიერთობის სხვა ტაქტიკის შერჩევა.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა უნდა „განვკურნოთ" მოვლენების გვიან აღქმის სენისაგან, რათა მეტი ყურადღებით მოეკიდნონ საქართველოს „ნატოში" გაწევრებას, რათა ისინი მეტი კატეგორიულები გახდნენ რუსეთისადმი.

ზოგიერთი ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი საქართველოს ხელისუფლებას სეპარატისტებთან დიალოგისაკენ მოუწოდებს.მათ ავიწყდებათ, რომ სეპარატისტების უკან მთავარი მოქმედი პირი – რუსეთი დგას, რომელსაც არ სურს დიალოგი და კონფლიქტების მოგვარება. სეპარატისტებთან დიალოგი წყლის ნაყვაა და ისეთივე შედეგის მომტანი, როგორიც ის შევარდნაძის დროს იყო, როდესაც ყოველ უნაყოფო შეხვედრას წინგადადგმულ ნაბიჯს უწოდებდნენ. რუსეთი არაორდინარულად იქცევა, არაფრად აგდებს საზოგადოებრივ აზრს, მსოფლიოს განსასჯელ ამა თუ იმ საკითხებზე თვითნებურად, ერთპიროვნულად ღებულობს გადაწყვეტილებებს თავის სასარგებლოდ. რუსულად ამას „სამ იგრაეტ, სამ ტანცუეტ" ჰქვია.

იმისათვის, რომ საქართველო ტერიტორიულად მალე გამთლიანდეს და ლტოლვილები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, საჭიროა მეგობარი ქვეყნების ძლიერი ზეწოლა რუსეთზე – ძალის პოზიციიდან ლაპარაკი. მასთან დიალოგის გამართვა იგივეა, რაც კედელზე ცერცვის შეყრა. მას მუშტი უნდა უჩვენო და თუ რეაგირება არ მოახდინა, ცხვირთან ახლოს უნდა მიუტანო, რომ დარტყმის სიმწარის სუნი იგრძნოს. სხვანაირად ის ვერ შეიგნებს, რადგან აგონიაშია.

რუსეთის იმპერია გასკდა. ის იშლება, რაც გარდუვალია, რადგან ეს ისტორიული პროცესია და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. რუსეთი მოექცევა ერმაკამდელ საზღვრებში და ჩაჯდება იმ ნაჭუჭში, საიდანაც გამოიჩეკა. სხვა სახელმწიფოს მიმართ ყოველი მისი აგრესიული მოქმედება რუსეთის იმპერიის დაშლის კატალიზატორი იქნება.

დიდმა იაკობ გოგებაშვილმა სთქვა, ხე, რომელსაც ფესვები, და ერი, რომელსაც მიწა-წყალი ეცლება, ილუპებაო.

რუსეთს უნდა, რომ საქართველოს მისი სხეულის ნაწილები აფხაზეთი და სამაჩაბლო (ე. წ. სამხრეთ ოსეთიძ ჩამოაცალოს და მიითვისოს, მას უნდა, რომ ქართველები, როგორც ერი, არ არსებობდეს.

1992 წლიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპა და ამერიკა ხედავდნენ რუსეთის დანაშაულობებს, ბოროტებას საქართველოს მიმართ, შეეძლოთ აგრესიის აღკვეთა, მაგრამ თვალების დახუჭვა და დუმილი ამჯობინეს. ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის საფასურად რუსეთი არ გაალიზიანეს, „რევერანსი" გაუკეთეს, რამაც საქართველო დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. გერმანული ანდაზაა: „ვინც ბოროტებას ხედავს, ხელის შეშლა შეუძლია და ამას არ აკეთებს, დამნაშავეა".

„ვარდების რევოლუციის" დღიდან პრეზიდენტის მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკა პროგრესულია – მოგვარებულია ენერგეტიკული საკითხები, რეაბილიტირებული და გაფართოებულია ინფრასტრუქტურები, ბევრი გაკეთდა სხვა სფეროებშიც.

გასაკეთებელიც ბევრია – მოსაშუშებელია ომით გამოწვეული ჭრილობები, შესაქმნელია მძლავრი არმია, მოსაგვარებელია დასაქმების საკითხი, ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში წამოჭრილი პრობლემები, დასამკვიდრებელია დემოკრატიული პრინციპები.

შეცდომებია დაშვებული ხელფასების და საკადრო საკითხებში. გაუმართლებელია თანაფარდობა მაქსიმუმ და მინიმუმ ხელფასს შორის. არ შეიძლება კორუფციის მოსპობის მოტივით სახელმწიფო მოხელეებს, პარლამენტარებს ესოდენ მაღალი ხელფასები დაუნიშნო, ხოლო პენსიონერებს და ცნობილ მეცნიერებს ესოდენ დაბალი ხელფასები ჰქონდეთ. დაუშვებელია, ერთს თავზე გადასდიოდეს და მეორე შიმშილის ზღვარზე იყოს. კორუფციას მაღალი ხელფასით ვერ მოსპობ. „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი!" ეს რუსთაველის აფორიზმია. მსგავსი აფორიზმი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს, ამერიკელ მწერალ სტეინბეკს, გერმანელ დრამატურგს და სწავლულს გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგს და სხვებს. კორუფციის მინიმუმამდე დასაყვანად საჭიროა სასჯელის გამკაცრება და კორუმპირებულების გამოვლინება. საჭიროა ხელფასების დარეგულირება.

საქართველო ჩვენი ოჯახია, ჩვენ, ხალხი, ამ ოჯახის წევრები ვართ. როდესაც ოჯახში მხოლოდ ერთი გოგორა პურია, ის ისე ნაწილდება, რომ მშიერი არავინ რჩება; ან ყველა თანაბრად რჩება მშიერი.

მოსახლეობის დასასაქმებლად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას, მათ შორის ჩაისას, რომელიც დასავლეთ საქართველოსთვის იგივეა, რაც კახეთისთვის ყურძენი და რაც ათეულ ათასობით ადამიანს დაასაქმებს.

კადრების საკითხებში ორიენტირება უნდა მოხდეს პროფესიონალიზმის, გამოცდილების და არა პარტიულობის, ახალგაზრდობის ნიშნით.

გერმანული ანდაზაა: „შეცდომის დაშვება ადამიანის თვისებაა!" ვინც საქმეს აკეთებს, შეცდომებს უშვებს. ბუნებრივია, პრეზიდენტმაც შეცდომები დაუშვა; მაგრამ, საბედნიეროდ, ამ შეცდომების გამოსწორება შეიძლება. ბატონმა პრეზიდენტმა ყველაზე უკეთ იცის, სად დაუშვა შეცდომა. ყველაზე კარგად და ყველაზე სწრაფად ბატონი პრეზიდენტი გამოასწორებს მათ. გავიხსენოთ თუ რანაირი ქვეყანა ჩაიბარა სამართავად. ნათქვამია, ერთ დღეში სოფელი არავის აუშენებიაო.

ბატონი პრეზიდენტი გულწრფელია. ის განეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელსაც სამოღვაწეო ასპარეზიდან კარგი სახელით უნდა წასვლა – „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!"

ვაცალოთ ბატონ პრეზიდენტს მეორე ვადაში ამ დაპირებების შესრულება, რომელიც მან ხალხს აღუთქვა. ჩვენც მხარში ამოვუდგეთ.

ბატონი პრეზიდენტისადმი ქართველი ხალხის უპირველესი თხოვნა კი არა, მოთხოვნაა – საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება და ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ სახლებში. ამისათვის მან ყველანაირ ზომას უნდა მიმართოს და აღასრულოს ის, რაც ყოველ ქართველს გულზე დარდად აწევს.

საქართველოს ჰყავდა მეფე დავით აღმაშენებელი, ჰყავდა პრეზიდენტი ზვიად განმათავისუფლებელი, ჰყავდა პრეზიდენტი ედუარდ დამანგრეველი. დაე, ბატონ მიხეილ სააკაშვილს იმდენი სიკეთე გაეკეთებინოს ქვეყნისა და ხალხისთვის, რომ მისთვის ამღორძინებელი შეერქვათ და ისტორიაში მიხეილ ამღორძინებლის სახელით შესულიყოს.

**ოთარ შონია.**

***P. S.* დღევანდელ** *საქართველოში მიტინგების, აქციების ჩატარება, ხელისუფლებასთან დაპირისპირება და მის საწინააღმდეგო ლოზუნგების ძახილი მიზანშეწონილი არ არის, მიუღებელია. საბჭოთა კავშირის რიგებში ნამყოფი ქვეყანა ოთხ წელიწადში ამერიკასავით დემოკრატიული ვერ გახდებოდა და ვერ გაიფურჩქნებოდა.*

*ბატონ პრეზიდენტს ჩვენი მტერი იმიტომ აგინებს, რომ ის ეროვნულ საქმეს აკეთებს. ცუდი რომ იყოს, შეაქებდა.*

*დღეს, აუცილებელია ხელისუფლების და ოპოზიციური პარტიების ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, მათ მიერ ხალხის დარაზმვა მთავარი მიზნის – საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების, განვითარების და წინსვლისათვის.*

*საქართველოსთვის ომის დაწყების ბრალდების წაყენება, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზა აღადგინა, შემოიყვანა მძიმე ტექნიკა, სხვადასხვა დანიშნულების საჯარისო ნაწილები, ტყვარჩელში ჩააყენა სადესანტო შენაერთი, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთში, რამდენიმე ასეული კილომეტრიდან გადმოისროლა 58-ე არმია, ვითომდა მანევრების ჩასატარებლად, შემოიყვანა მძიმე ტექნიკა და ჯარი ე. წ. სამხრეთ ოსეთში – სულ ცოტა მიკერძოება, ტენდენციურობა ან პოლიტიკური სიბეცეა.*

***ო. შ.***

◎ პრობლემა

# ქუთაისის მოსახლეობას წყალი 24 საათის ნაცვლად, კვლავ ორ დღეში ერთხელ მიეწოდება

**საქართველოს რეგიონებს და მათ შორის იმერეთს, დღემდე გადაუჭრელი უამრავი პრობლემა აწუხებს, განსაკუთრებით კი წყალმომარაგების გაუმართავი სისტემები. ცოტა აბსურდია, რომ ქვეყანა „წყალს მიაქვს" და ქუთაისის მოსახლეობას ის არა მარტო მუდმივად, გრაფიკითაც არ მიეწორდება.**

ეს საქმე დიდი ხანი არ არის, რაც ფოთში, ასე თუ ისე, მოგვარდა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი, რომელიც წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად, ფოთსა და ქუთაისში ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრა ამ დღეებში „კავკასიურ სახლში", იმერეთის ახალგაზრდულ სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციასა („ასა"ძ და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, შეხვედრის მიზანი ქუთაისის წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტის შეფერხების მიზეზების გარკვევა იყო (შეხვედრა მოეწყო „ასა"-სა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის პარტნიორული პროექტის – „საზოგადოებრივი აზრის ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებში" ფარგლებშიძ.



„ასას" ხელმძღვანელმა **ზაზა ხელაძემ** მოკლედ მიმოიხილა მათი თბილისში ჩამოსვლის მიზანი. აღინიშნა, რომ საზოგადოება არ არის ჩართული პროექტის განხორციელებაში და არც ადგილობრივი მმართველობის მხრიდან არიან ყურადღებით განებივრებულნი. ამ უკანასკნელს პროექტი არც კი აქვს ნანახი. საუბარი იყო პროექტის ტექნიკურ მხარეზეც, რომელსაც საკმაო ხარვეზები აქვს. გამჭვირვალობის საკითხებზე საუბრისას ისევ და ისევ მოსახლეობის არაინფორმირებულობის პრობლემამ იჩინა თავი, რაც ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ქმნის, ეს არის კომუნალური მრიცხველები.

სტუმრებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს პროექტის „ქუთაისის" წყალმომარაგების გაუმჯობესების ასლი გადასცეს და დასძინეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, შემდეგშიც გაუწევს მონიტორინგს ამ პროექტს და დარღვევების შემთხვევაში სასამართლოს მიმართავს.

ქუთაისის წყალმომარაგების გაუმჯობესების პროგრამა ხელმოწერილი და დაფინანსებული იყო ჯერ კიდევ 2006 წლის 15 სექტემბერს. თუმცა სამუშაოები მხოლოდ 2008 წლის სექტემბერში დაიწყო, ანუ 2 წლის დაგვიანებით. იმავე პერიოდში ერთი და იმავე დონორებისგან დაფინანსდა ფოთში ჩასატარებელი სამუშაოები. ორივე პროექტის განხორციელების ვადა 3 წელიწადი იყო. შედეგად კი უნდა მიღწეულიყო ფოთისა და ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგება.

და აი შედეგიც: ქუთაისში წყალმომარაგების მხრივ ვითარება კვლავ უცვლელია. წყლის ფასი ორჯერ გაიზარდა, მაგრამ ქალაქის მოსახლეობას წყალი დაპირებული 24 საათის ნაცვლად კვლავ ორ დღეში ერთხელ, 4-6 საათით მიეწოდება.

**ანა წიწილაშვილი**

№ 237. პარასკევი, 19 დეკემბერი, 2008 წელი.

აკადემია

# საზეიმო ვითარებაში

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეს საერთო კრება ცოტა უჩვეულოდ დაიწყო: დარბაზში კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის შემობრძანებას მოწვეული ანსამბლი „რუსთავი“ სიმღერის აგუგუნებით შეეგება.**

მერე აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დამსწრეთ საპრეზიდენტო მედლის დამზადება აუწყა და საერთო კრებას მისი მკერდზე ჩამოკიდებისა და ისე გაძღოლის ნებართვა სთხოვა (როგორც ეს დასავლურ მეცნიერებათა აკადემიებში ყოფილა მიღებული). დარბაზის ტაში დასტურის ნიშნად გაისმა (მედლის დამამზადებელია მკითხველისათვის კარგად ნაცნობი ოქრომჭედელი აკადემიკოსი თენგიზ სანაძე).

საერთო კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმინდესი ბართლომეოს I-ის არჩევას სმეა-ის უცხოელ საპატიო წევრად.



აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ გულთბილად მიულოცა საიუბილეო თარიღები აკადემიის სამ წევრს – 85 წლის ნოდარ ყიფშიძესა და 80-80 წლის დავით მუსხელიშვილსა და გიორგი თოთიბაძეს (ბატონმა გოგიმ თავისი იუბილე აკადემიის ერთ-ერთ დარბაზში ნახატების გამოფენითაც დააშვენა), შემდეგ კი კიდევ ერთი სასიამოვნო მოვალეობა შეასრულა: საააკადემიო სახელობითი პრემიების ლაურეატებს ფულადი ჯილდოები და დიპლომები გადასცა.



დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატებმა ანზორ ერქომაიშვილმა და ვახტანგ როდონაიამ პრემირებული ნაშრომის „ფონოგრაფიული ჩანაწერები (1901-1914)“ პრეზენტაცია მოაწყვეს (ეს „მუსიკალური“ წიგნი შიგ ჩართული დისკეტებით აკადემიის წევრებს საჩუქრად ხვდათ). ბატონ ანზორის ანსამბლმა „რუსთავმა“ კიდევ რამდენიმე სიმღერის შესანიშნავი შესრულებით დაატკბო დამსწრენი.

ყველაფერ ამას სასიამოვნოდ ზეიმური ხასიათი დაჰკრავდა. კაცმა რომ თქვას, ქვეყანაში სულაც არა გვაქვს საზეიმოდ საქმე და თითქოს რა უნდა გვეზეიმებოდეს, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, თავისი გზითა და კანონებით მიდის და გრძელდება. აკადემიური ცხოვრებაც...

**თამაზ ებანოიძე**

მეცნიერება

# ის, რაზეც უნდა აიგოს კადრების აღზრდის სისტემა

## ეკონომიკური ტექნოლოგიები – XXI საუკუნის სტრატეგიული იმპერატივი

***აგრარული სექტორის განვითარების საერთო სისტემაში ერთ-ერთი და გამოკვეთილად პრიორიტეტულია ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ოპტიმიზაცია და მისი გამოყენების რაციონალიზაცია.***

***ადრე, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოს მეცნიერები ერთიან კატეგორიად არ განიხილავდნენ. შეისწავლებოდა და გამოკვლევები ტარდებოდა ცალკე ეკონომიკური პოზიციებისა და ცალკე – ტექნოლოგიური სისტემების ელემენტების მიხედვით.***

ამ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, აგრარული სექტორის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოვიტანეთ ახალი, კომპლექსური და შეწყობილი კატეგორია – **ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო.**

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო – **ეს არის დროისა და სივრცის ის სისტემა, რომელიც ეფუძნება მიწის, ბუნებრივი რესურსების (წყალი, სითბო, სინათლე), ფლორისა და ფაუნის, საწარმოო (კაპიტალი, შრომა), მატერიალური (ფულადი) და ინფორმაციული რესურსების ურთიერთშეწონასწორებული და მიზნობრივ-კომპლექსური გამოყენებისა და მართვის შეწყობილ, ოპტიმიზებულ ბიოტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ მოდიფიცირებულ-ინტეგრირებულ კომპლექსს.**

უნდა ითქვას, რომ ჩვენს მეცნიერებას დღემდე არ ჰქონია სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს განმარტება. ამდენად, **ზემოთ მოცემული ფორმულირება ორიგინალურია და მასში სისტემურად არის გააზრებულ-დანახული ამ გარემოს შინაარსობრივი და ფუნქციური დატვირთვა.**

ტერმინი „ტექნოლოგია“ დიდი ხანია გასცდა ვიწრო ჩარჩოებს და ახალი, ტევადი, ფართო და მასშტაბურგანზომილებიანი შინაარსი შეიძინა. „ტექნოლოგიამ“ შეიწოვა, შეავსო და შეითანაწყო მთელი რიგი დარგობრივ-სისტემური სფეროები, რის ბაზაზეც მტკიცედ დამკვიდრდა ახალი შინაარსობრივი სიტყვათწყობები: სამრეწველო, ეკოლოგიური, სპორტული, ლინგვისტური, ფილოსოფიის, ჟურნალისტური, ადამიანზე ზეგავლენის მოხდენის (პიარი) ტექნოლოგიები და სხვა. აგრეთვე, რაც მეტად საყურადღებო და ნიშანდობლივია, მთელი ინფორმაციული (მ. შ. გამოთვლითი) ციკლი, პროცესი, კომპიუტერული შესაძლებლობები და წარმოსდგა ინფორმაციული ტექნოლოგიების სახით.

აქ უნდა განვმარტოთ, რომ ადამიანის მიერ გაწეული ნებისმიერი საქმიანობა (მოქმედება), რომელიც ერთიანი კომპლექსის ცალკეულ ელემენტებს მოიცავს და სრულყოფას განიცდის, ახალი დროის, ახლებური აზროვნების შესაბამისად, ტექნოლოგიად აღიქმება.

ამ ფორმულირების შემდეგ, ლოგიკურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შემოვიტანოთ ახალი მეცნიერული კატეგორია: **ეკონომიკური ტექნოლოგიები.** ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სახითაც.

მეცნიერები უკვე ხმარობენ სიტყვათწყობებს: მართვის ტექნოლოგია, ბაზრის და საბაზრო სეგმენტაციის ტექნოლოგია, ბიზნესის ტექნოლოგია (უკავშირდება დიდ თამაშებს ბიზნესში), სტრატეგიის ტექნოლოგია, საბანკო ტექნოლოგია, თამაშთა თეორია და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია და ა. შ.

**ამრიგად, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ეკონომიკა, როგორც თანამედროვე გაგების ტექნოლოგიური ციკლი, ანდა, უფრო სფეციფიკური მიდგომით თუ ვიტყვით ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ციკლი, ახლებურ მეცნიერულ დამოკიდებულებას, შესწავლასა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას მოითხოვს.**

გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ ფართო გაგებით ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში მოიაზრება ინფორმაციული ტექნოლოგიებიც, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი პირობა...

ამ სტრატეგიული და ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტა XXI საუკუნის იმპერატივია და მასზე უნდა აიწყოს და აიგოს ახლებურად დანახულ-გააზრებული და პროგრესული, აგრარულ-ეკონომიკურ გამოკვლევებსა და მომავალზე ორიენტირებული კადრების აღზრდის სისტემა.

**ომარ ქეშელაშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი**

მეგობრის ხმა

# „თქვენთვის ამ მნიშვნელოვან დღეს“...

## წერილი თინათინ მღვდლიაშვილს ფლორიდის შტატიდან

**ძვირფასო თინათინ!**

მიიღეთ ჩემი კეთილი სურვილები დედამიწის მეორე ნახევარსფეროდან!

ჩვენი საერთო მეგობრისგან – ივანე ჯაფარიძისგან ხმა მომწვდა, – გამომცემლობა „ინტელექტს“ თქვენი „ასი ლექსი“ დაუსტამბავს...

ნეტავ, რომელი ლექსები ამოკრიფეთ თქვენი ჯადოსნური, ულევი სკივრიდან?

რა სიამოვნებით წავიკითხავდი თქვენს „სიყვარულის სიმფონიას“, „ქართლის მზეს და ველურ ყაყაჩოებს“, „ვაინახებს“; მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ რექვიემს; ქართველი წმინდანების ეპიტაფიებს... დიდებულ პოემას – „ტაძართა და ვაზთა საგალობელს“, – საქართველოს ასთხუთმეტი ტაძრისა და ასთვრამეტი ქართული ვაზის ჯიშის ქებათა-ქებას...




ღმერთმა გაახაროს და გააძლიეროს მართლმორწმუნე ქალბატონები – სევდია უგრეხელიძე, ციცი გაბისკირია და მაია კერესელიძე, რომელთა თანადგომითაც დასტამბულა ეს წიგნი-მარგალიტი... ხოლო თქვენი „მარტოხელა, მარტოსულო დედოფალო“ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა ამერიკაში ზეპირად იციან... კიდევ კარგი, დღეს ძსეროასლების გადაღება იაფია, თორემ ხომ გავკოტრდებოდი...

ამღერებული თქვენი ლექსების გახსენებისას ხომ სუნთქვა ეკვრის ადამიანს, – „ხმალი ავლესოთ ქართველებო“, „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „ქართველები შეარიგე“:::

რომელი ერთი გავიხსენო? რომელი ერთი ვინატრო?..

ძვირფასო თინათინ!

ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი მხატვარი ცისანა ჯანაშვილი, რომელმაც ქართველ მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნა. ამაზე სხვა დროს მოგწერთ...

რამდენიმე თვის წინათ ცისანას ბაირონისადმი მიძღვნილი თქვენი წიგნი გავუგზავნე.

ცისანა თქვენი ლექსებით აღფრთოვანდა!

ამას წინათ მისი შესრულებული ბაირონის პორტრეტის რეპროდუქცია მივიღე.

ბაირონის პორტრეტის ორი რეპროდუქცია მქონდა, მაგრამ მხატვრებს ორივეზე ქალივით ლამაზი პოეტი დაუხატავთო; არადა ბაირონი თავისი ბოგოქარი ცხოვრებით სულ სხვაგვარი წარმომედგინაო; თინათინის ლექსებმა მიბიძგა, რომ ბაირონი შემართებული, ვაჟკაცური იერის გამომესახაო, – მითხრა ცისანამ.

თქვენთვის ამ მნიშვნელოვან დღეს, ამერიკიდან გულწრფელად გესალმებიან: – ქართული სათვისტომოს პარტრიარქი, თქვენი უფროსი მეგობარი ბატონი პეტრე ხვედელიძე ვაშინგტონიდან; ცისანა ჯანაშვილი, ციცინო ჯერვალიძე, ლუიზა ანდღულაძე, ია მერკვილაძე, ნანა ტატიაშვილი, თამარ ფრანგიშვილი, ცისკარა თოფურია, ლევან ჯაფარიძე – ნიუ-იორკიდან; ემილ დიხამინჯია არიზონადან; გიორგი მელუავა – ჯორჯიიდან; ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ნუგზარ შარია, ვანო ბერიძე და თქვენი მონამორჩილი ფლორიდიდან.

კეთილი სურვილები, რა თქმა უნდა – გამომცემლობა „ინტელექტს“ და მის თავკაცს, ბატონ კახმეგ კუდავას და ყველას, ვინც თქვენი წიგნის პრეზენტაციაზე მობრძანდა.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**გულწრფელად, თქვენი**

**ჯუმბერ ჯიშკარიანი.**
**ფლორიდა, აშშ.**

***19 დეკემბერს, პარასკევს, გამომცემლობა „ინტელექტში“ (ილ. ჭავჭავაძე 17) გაიმართება პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის ახალი წიგნის – „100 ლექსის“ წარდგენა.***

კონტაქტები

# ქართული ღვინო მოსწონებიათ

**ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში – სიეტლსა და ნიუ-იორკში 1-დან 9 დეკემბრამდე ქართული ღვინის დღეები გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა სოფლის მეურნეობს მინისტრი ბაკურ კვეზერელი, რომელმაც ბრიფინგზე აღნიშნა, რომ სიეტლი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზარია.**

ჩვენი მიზანია, უფრო მეტი ქართული ღვინო გავყიდოთ მთელს ამერიკაში და გავაორმაგოთ ღვინის ექსპორტი, – თქვა მან.

გამოფენაზე ღვინოები 7 ქართულმა კომპანიამ წარმოადგინა. ესენია: „თბილღვინო“, „სარაჯიშვილი“, „მილდიანი“, „ვინოტერა“, „თელიანი ველი“, „ქინძმარაული“, „თელავის ღვინის მარანი“, „ბაგრატიონი 1882“.

ქართული ღვინის დღეების ქრონიკა ისეთმა ცნობილმა გამოცემებმა გააშუქეს, როგორიცაა „ვაინსპექტატორი“, „ფუდენ ვაინ მეგეზინი“, „ტაიმსი“, „ნიუჯერსი ლაიფი“.

ქართულმა ღვინომ დამთვალიერებელთა მაღალი შეფასება მიიღო და დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენი ღვინით ამერიკაში ცნობილი მაღაზიები და რესტორნები დაინტერესდნენ.

ამერიკაში გამართული ქართული ღვინის დღეები ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას, – თქვა ბაკურ კვეზერელმა.

**ნაზი იმნაიშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სამხრეთ ოსეთი ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას ელოდება

**ჟენევაში დაიწყო ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში უშიშროების მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი. მაგრამ მის გახსნამდე ნათელი გახდა, რომ ჟენევის შეხვედრას მორიგი წარუმატებლობა ელოდება. რუსეთის მხარის აზრით, ეს წინასწარ არის განპირობებული საქართველოს „უგუნური მოთხოვნებით“. თბილისში წარუმატებლობის მიზეზს ხედავენ მოსკოვის განზრახვაში „შეცვალოს რეალური სიტუაცია რეგიონში“.**

იმის შესახებ, რომ „ჟენევის მოლაპარაკებანი მიდის ერთობ წარუმატებლად“, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ შემდეგი მეოთხე რაუნდი უფრო წარმატებული იქნება. ეს განცხადება გაკეთდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჟენევის ერთვნებათა სასახლეში დაიწყებოდა სამუშაო სადილი ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს, აგრეთვე რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთი წევრის სიტყვებით, ჯერ კიდევ საკითხების განხილვამდე საქართველოს მხარემ გამოთქვა განზრახვა განსაზღვრული საკითხები განხილულიყო მხოლოდ პლენარულ სხდომაზე, ვინაიდან სამუშაო შეხვედრებს არ აქვს იურიდიული ძალა და, საერთოდ, უაზრობააო.

მაგრამ საქართველოს დელეგაციის მოთხოვნამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა დანარჩენი მონაწილეების მხრიდან. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები დაიმუქრნენ, რომ დატოვებდნენ მოლაპარაკებას, თუ შეიცვლებოდა შეხვედრის ფორმატი. „ჩვენ არასოდეს დავეთანხმებით ჩვენი სტატუსის იმ შეცვლას, რომელსაც საქართველოს მხარე ითხოვს, – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. – წინა რაუნდის დროს ჩვენსა და საქართველოს წარმომადგენლებს გვქონდა ერთნაირი სტატუსი ექსპერტებისა და ჩვენ ამ დისკუსიებში ვმონაწილეობთ მხოლოდ პარიტეტის პირობებით“. „ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის, რომ მოლაპარაკებანი საქართველოსთან უპერსპექტივოა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ თუ ყველა მხარეს ექნება სურვილი, მიაღწიოს რეგიონში სტაბილიზაციას, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ საქმეზე და არა წამოვაყენოთ შეუსრულებელი მოთხოვნები“, – განაცხადა შამბამ.

საკითხი კონსულტაციების სტატუსის შესახებ არ გადაწყდა საქართველოს სასარგებლოდ: იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ დისკუსიის ყველა მონაწილე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, უარი ეთქვათ პლენარულ სხდომაზე და მოეწყოთ სამუშაო ჯგუფის სხდომა – როგორც წინა შეხვედრაზე ნოემბერში.

სხდომის დაწყებამდე მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი პოზიციები, რომელთაგან ცხადი იყო, რომ შეხვედრის შედეგი წინასწარ იყო განსაზღვრული. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გიორგი ბოკერიამ განაცხადა, რომ თბილისი არ დაეთანხმება რუსეთის წინადადებას, განახლდეს ერთობლივი სამუშაო შეხვედრები კონფლიქტის ზონებში, ვინაიდან ეს დააკანონებს რუსეთის ყოფნას რეგიონში. საქართველოს კი განზრახული აქვს მიაღწიოს ევროკავშირის მეთვალყურეთა შეშვებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და იქ ქართველი ლტოლვილების დაბრუნებაზე.

ამ მოთხოვნაზე მიიღეს რუსეთის დელეგაციის საკმაოდ მკაცრი პასუხი. მათ მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის მეთვალყურეთა შეშვება კონფლიქტის ზონაში დასაბამს მისცემს რუსეთის კონტინგენტის გამოძევების პროცედურის დაწყებას. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთი წინააღმდეგია კონფლიქტების ზონაში საერთაშორისო ყოფნის ფორმატის ნებისმიერი ცვლილებებისა, სადაც „უკვე მოქმედებენ გაეროსა და ეუთოს მისიები, და სხვა მისიები უკვე საჭირო აღარ არის“. რუსეთის დიპლომატის სიტყვებს პროტესტით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა. მან განაცხადა, რომ ევროკავშირის მეთვალყურეთა ყოფნის საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე გადაწყდება არა რუსეთის მიერ: „ევროკავშირის მეთვალყურეები დაშვებული უნდა იქნენ კონფლიქტის ზონებში. ეს არის საქართველოს ტერიტორია და თუ საქართველო და ევროკავშირი მიიღებენ გადაწყვეტილებას, მაშინ, მიუხედავად რუსეთის პოზიციისა, მეთვალყურეები შევლენ ამ „ტერიტორიაზე“.

ნათელი გახდა სამხრეთ ოსეთის დელეგაციის პოზიცია. იგი დათანხმდა ლტოლვილების დაბრუნებას მხოლოდ ორი პირობის შესრულების შემთხვევაში: ლტოლვილები მიიღებენ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას, საერთაშორისო გაერთიანება კი აღიარებს რუსეთის ჯარების ყოფნის აუცილებლობას, როგორც სამხრეთ ოსეთში უშიშროების გარანტისა.

საქართველოში კი მიიჩნევენ, რომ ცხინვალის ასეთი პოზიცია „მოსკოვის მიერაა მოფიქრებული“. „რუსეთმა დაიწყო რთული ინტრიგა მოლაპარაკებათა ამ რაუნდთან დაკავშირებით, – განაცხადეს საქართველოს პარლამენტში. – რუსეთს ხელს აძლევს რეგიონში ასეთი სიტუაცია და განზრახული აქვს არ შეიცვალოს იგი. ამიტომ რუსები აყენებენ მორიგ წინადადებებს, იციან რა, რომ ჩვენ მათ არ მივიღებთ, ჩვენ გვთავაზობენ დავაბრუნოთ დაახლოებით 30 ათასი ქართველი ლტოლვილი, რომლებიც გამოდევნილი იყვნენ სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლებიდან, – მაგრამ მხოლოდ ცხინვალის იურისდიქციის ქვეშ და რუსეთის ჯარების სრული კონტროლით. სამაგიეროდ, მოსკოვი ითხოვს, რომ ჩვენ დავთანხმდეთ რუსეთის სამხედრო ყოფნის ლეგალიზაციას ჩვენს ტერიტორიაზე. ამას გარდა მოსკოვი დაბეჯითებით მოითხოვს საქართველოს დემილიტარიზაციას, მისთვის იარაღის მიწოდების აკრძალვას. შემდეგი მოთხოვნა გახდება ნატოსთან თანამშრომლობის შეწყვეტა. ჩვენ ასეთ წინადადებებს ვერ დავთანხმდებით – ეს არათანაბარი გაცვლაა“.

თბილისის აზრით, მოსკოვი არ არის დაინტერესებული ჟენევის მოლაპარაკებათა წარმატებაში.

რუსეთის დელეგაციაში მიიჩნევენ, რომ ქართული მხარე განზრახ ახდენს მოსკოვის ნებისმიერი წინადადების საბოტირებას. „ჩვენ ვასრულებთ მედვედევ-სარკოზის გეგმაში განსაზღვრულ ყველა პირობას, – განაცხადა რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა. – რა პრეტენზიები უნდა ჰქონდეთ ჩვენთან? თუ ქართული მხარე აყენებს წარმოუდგენელ მოთხოვნებს, ეს ნიშნავს, რომ სწორედ საქართველო და არა რუსეთი არის დამნაშავე იმაში, რომ ეს შეხვედრა კიდევ ერთხელ დამთავრდეს წარუმატებლად“.

ოლგა ალიონოვა,
გიორგი დვალი

Коммерсантъ

# მესამე ჟენევური რაუნდი

**ოთხშაბათს ჟენევაში დაიწყო სამხრეთ კავკასიაში სიტუაციასთან დაკავშირებული დისკუსიის მესამე რაუნდი. დღის წესრიგშია უშიშროებისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხები.** როგორც ცნობილი გახდა, ევროპელი შუამავლების მიერ შემუშავებულია დოკუმენტი სახელწოდებით „ინციდენტებისა და კონფლიქტების თავიდან აცილება“. დიპლომატიურმა წყარომ გვაცნობა, რომ მხარეები პრინციპულად ეთანხმებიან ამ დოკუმენტის მიღებას, მაგრამ კონკრეტულ წინადადებებთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა.



წყაროს მონაცემებით, დისკუსიის წინა დღეებში საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიერ მორელმა მოაწყო კონსულტაციები საქართველოს და რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელებთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გიგა ბოკერიასთან მორელმა შეხვედრა გამართა სამშაბათს, მის რუს კოლეგასთან გრიგორი კარასინთან კი ოთხშაბათს.

პირველი სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის მთავარი საკითხია ზემოაღნიშნული დოკუმენტი „ინციდენტებისა და კონფლიქტების თავიდან აცილება“, რასაც სამი კვირის განმავლობაში ამუშავებდნენ. თავდაპირველად ის ათი გვერდი იყო. იგი გაიგზავნა მოსკოვში, თბილისში, ცხინვალსა და სოხუმში და მასში შეიტანეს თავიანთი კორექტივები. შედეგად, ამჟამად მოლაპარაკებათა მაგიდაზე დევს მესამე ვარიანტი, არსებობს აგრეთვე შემცირებული ვერსიაც გვერდ-ნახევარზე. „თავიდან აცილება“ უნდა გახდეს სიტუაციის მონიტორინგის მექანიზმის შექმნის ბაზა. იგი, კერძოდ, საშუალებას მისცემს მხარეთა წარმომადგენლებს ერთმანეთს შეხვდნენ ყოველ კვირას და განიხილონ მიმდინარე პრობლემები, აგრეთვე ექსტრემალურ შემთხვევებში შეხვდნენ ერთმანეთს სამიოთხი საათის განმავლობაში. ბრიუსელი აგრეთვე სთავაზობს ამ ინიციატივის ჩარჩოებში მოთხოვნას ევროპელი მეთვალყურეების დაშვების შესახებ. ამის წინააღმდეგი არიან ჩვეულებრივად სოხუმი, ცხინვალი და მოსკოვი.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განუცხადა, საფრთხე მოდის საქართველოს მხრიდან, ამიტომ დაე, „ევროკავშირის მეთვალყურეები აწარმოებდნენ მონიტორინგს იქ, ხოლო რესპუბლიკის უშიშროებას უზრუნველყოფდნენ მის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედროები“. მისმა სოხუმელმა კოლეგამ სერგეი შამბამ ასეთი სქემა შემოგვთავაზა: „აფხაზეთის მხრიდან მონიტორინგის განხორციელება შეუძლიათ გაეროს წარმომადგენლებს, ევროკავშირის უშიშროების მისიას კი შეუძლია განახორციელოს იგივე საქართველოს მხარეზე“. სოხუმი აგრეთვე აყენებს წინადადებას, განახლდეს რეგულარული შეხვედრების ოთხმხრივი ფორმატი საზღვრისპირა სოფელ ჭუბურხინჯში.

ამის წინააღმდეგია თბილისი. როგორც ჩვენს გაზეთს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განუცხადა, ოთხმხრივი ფორმატი არსებობდა რუსეთის მიერ ქართული ავტონომიების სუვერენიტეტის აღიარებამდე, ამჯერად კი იგი უბრალოდ „ხელს შეუწყობს რუსეთის ჯარების ყოფნის ლეგალიზაციას, რომლებიც სინამდვილეში ოკუპანტები არიან“. მან აგრეთვე მიუთითა იმაზე, რომ მოსკოვი ძველებურად არღვევს მედვედევ-სარკოზის შეთანხმების პუნქტს, რომლის თანახმადაც ჯარები გაყვანილი უნდა იქნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც ეკავათ სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებამდე.

ჟენევის შეხვედრის წინა დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც პროტესტს გამოთქვამდა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დიპლომატიური მისიების გახსნის შესახებ, და ოფიციალურად გამოთქვა ის ბრალდებები, რის შესახებაც ლაპარაკობდა იაკობაშვილი. ამას გარდა, განცხადებაში ამტკიცებენ, რომ მოსკოვი „ცდილობს შეანელოს საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ“ და სინამდვილეში „აძლიერებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავის სამხედრო კონტინგენტს, აფართოებს ეთნიკური წმენდის მასშტაბებს, ბლოკავს საერთაშორისო მეთვალყურეების საქმიანობას და ზღუდავს მათ უფლებებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში თავისუფალი გადაადგილების შესახებ“. ნახსენებია აგრეთვე რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერება აფხაზეთის გალის რაიონში და სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე სოფელ პერევში, სადაც ერთი დღე-ღამის განმავლობაში კონტროლი სამჯერ გადადიოდა ხან რუსეთის, ხან საქართველოს პოლიციის ქვეშ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა მწვავე საპასუხო განცხადება, რომელშიც ამავე დროს გამოთქმულია იმედი ჟენევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, სადაც მიღწეული იქნება „კონკრეტული მოლაპარაკებანი უშიშროებისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ“ და 2008 წლის საერთო ძალისხმევათა ღირსეულ დასრულებაზე.

თუმცა ასეთ წარმატებაზე ლაპარაკი ნაადრევია. „ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ლტოლვილთა დაბრუნების მექანიზმები და პერსპექტივები. მაგრამ საუბარი თავად პროცესის დაწყების შესახებ ამჟამად ნაადრევია. მინდა აგრეთვე შეგახსენოთ, რომ ათეული ათასობით ქართველი დაბრუნდა გალის რაიონში ომის შემდეგ. და, რატომღაც, როდესაც საუბარია ლტოლვილებზე, „ივიწყებენ“, რომ ჩვენი მხრიდანაც ბევრმა დატოვა მშობლიური ადგილები“, – განაცხადა სერგეი შამბამ.

ურთიერთსაპირისპირო ასეთი განწყობილებით მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას მისი მონაწილეები, და მორელის წინასწარი მოლაპარაკებანი ბოკერიასთან და კარასინთან ამ ფონზე გამოიყურება ლოგიკურად. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ დღევანდელი მესამე რაუნდი შეიძლება ჩაითვალოს სავსებით წარმატებულად, თუ მხარეები არ მოაწყობენ სკანდალს და შეინარჩუნებენ სამომავლოდ შეხვედრის ფორმატს. „მთავარია, რომ დარჩეს ურთიერთობათა მოწესრიგებათა იმედი“. მისი აზრით, რაიმე პრაქტიკული შედეგების მოლოდინი ამჟამად არარეალურია. ეს იმედები არ იქნება მანამ, ვიდრე კონფლიქტის საქმეში აქტიურად არ ჩაერთვება ამერიკის შეერთებული შტატები. თბილისში ჟენევის შეხვედრის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მეთიუ ბრაიზას ჩამოსვლა, რამდენიმე მისი განცხადება საქართველოს მხარდასაჭერად და მისი მონაწილეობაც კი კონსულტაციების მესამე რაუნდში – ანგარიშში მისაღები არ არის. „ვიდრე არ იქნება გარკვეული რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა, ესე იგი არ გაიმართება პრეზიდენტების ბარაკ ობამასა და დიმიტრი მედვედევის შეხვედრა, წინსვლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციასთან დაკავშირებით, ალბათ, არ იქნება“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

იური სიმონიანი,
ანდრეი ტერეხოვი

НЕЗАВИСИМАЯ

## გაქარწყლებული მითები



***ნასაბჭოთაკავშირალ** დიდ რუსეთში ახლა რამდენიმე თვალშისაცემი პოლიტთამაში მიდის და ერთ-ერთია სტალინის სახელით „აიწონა-დაიწონას“ თამაში (თუმცა ეს არც საქართველოსთვისაა უცხო ხილი); ვინც რუსულ პრესას თვალს ადევნებს, ეგებ დამეთანხმოს კიდევაც (თბილისში, ჯერჯერობით, შემოდის რუსეთის გაზეთები). ამ ქვეყანაში არაერთი კალმოსანი ვაჟბატონი (სხვათა შორის, კალმოსანი ქალბატონიც) მუშაობს ასეთ „დაიწონაზე“ და ამას ხშირად აკეთებს დაუფარავი ისტერიულობით — დიდ ისტორიულ სახელებს ისტერიული მიხტომები არც ერთ დროში არ აკლდა... აკეთებენ ისე, რომ უკვე მთელი მიმართულება თუ მიმდინარეობა წარმოიშვა — **ანტისტალინიანა**.*

*მაგარი ისაა, რომ იქ (რუსეთში) სტალინის სახელით „აიწონას“ მონაწილენიც გვხვდებიან, ისინი არცთუ ცოტანი არიან და დიდი მონდომებით და ერთგულებით იცავენ თუ უფრთხილდებიან სტალინიანასა. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ჩრდილოელი მეზობელი ქვეყნის მკითხველთა წრეებში კარგად ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი **არსენ მარტიროსიანი**, რომელმაც თავის თავზე აიღო ანტისტალინიანას 200 ყველაზე მოარული მითის გაფანტვა და არაერთი „დოკუმენტური“ სიყალბის გამოაშკარავება — ვრცელ საგულისყუროდ მიმზიდველ ხუთტომეულში გაანალიზებით! გაანალიზება ხომ ბევრ რამეს სჭირდება, **მით** უფრო... **მითს**!*

*საქმე ისაა, რომ რუსეთშიცა და უცხოეთშიც იოსებ ბესარიონის ძე სტალინი დიდი ხანია მიჩნეულია ერთ-ერთ უდიდეს მმართველად ქვეყნის მთელს ისტორიაში; და მაინც, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე გენერალისიმუსის სახელი და საქმეები შებღალული და ცილდაწამებულია, მას მრავალი ბოროტმოქმედება მიაწერეს, ყალბი ბიოგრაფიაც შეუქმნეს; შეუბღალეს აგრეთვე უკანასკნელი განსასვენებელი: გამოიტანეს მავზოლეუმიდან, მუნდირზე მოოქროვილი ღილებიც კი ააჭრეს და ხელახლა დამარხეს ბეტონის თერთმეტი ფილის ქვეშ. ეგ კია, რომ ანტისტალინელები საბოლოოდ მაინც ვერა და ვერ ახერხებენ სტალინის დაძლევას, ზღაპრული დევგმირისა არ იყოს. გავიხსენოთ, რა ენამახვილურად შენიშნა უინსტონ ჩერჩილმა: მკვდარ ლომს შეება ნიკიტა ხრუშჩოვი და დამარცხებული დარჩაო...*

*21 დეკემბერს „მკვდარ ლომს“ დაბადებიდან 129 წელი უსრულდება. მართალია, მრგვალი თარიღი არ გახლავთ, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ რამდენიმე ამონარიდი შემოგთავაზოთ ა. მარტიროსიანის ეპოპეის წლეულს გამოცემული მესამე წიგნიდან, რომელსაც ეწოდება „**სტალინი: ბელადის ბიოგრაფია**“ (მთელი ხუთტომეულის დასახელებაა, „**200 მითი სტალინზე**“).*

# ლომი იმისაა, რომ მკვდარიც ლომია...

### მითი:

### სტალინმა ხან ვითომ მოკლა ცოლი ნადეჟდა ალილუევა, ხან ვითომ თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ხანაც ვითომ ამ ტრაგედიაში დაიდო წილი.

აღნიშნულ თემაზე მითოლოგიის თხზვა პრაქტიკულად დაიწყო მაშინვე, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ 1932 წლის 9 ნოემბრის ღამეს (როცა ის-ის იყო დამთავრდა ოქტომბრის გადატრიალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობები) კრემლის ბინაში, პისტოლეტიდან გასროლით თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე სტალინის მეორე ცოლმა ნადეჟდა ალილუევამ.

იმ ღამეს მომხდარი მრავალ ვერსიად გადმოიღვარა, თანაც ყველა რომ ერთმანეთისგან განსხვავდება, ისეთად: ესაოდა, სტალინმა საზეიმო სუფრაზე უთხრა ცოლს რაღაცა, რამაც წყენა მოჰგვარა და თავი მოაკვლევინაო; ესაოდა, ნადეჟდა სერგეის ასულმა ქმარზე რატომღაც დედაკაცის გამო იეჭვიანა და თავიც ამიტომ მოიკლაო; ესაოდა, თითქოს ისინი სიდედრის გამო წაიჩხუბნენ და ნადეჟდამ ტყვია შუბლში დაიხალაო; ესაოდა, პოლიტიკური მოსაზრებებით მოიკლა თავი, რაკი ქმრის პოლიტიკას არ ეთანხმებოდაო; ბოლოს, ესაოდა, როგორც თვითმკვლელი შეთქმულის გამარნიკის ცოლი ფანა გამარკინი ამტკიცებდა, სულაც თვით სტალინმა დაახალა ტყვია ნადეჟდა ალილუევასო...

არავითარი აზრი არა აქვს მთელი ამ ნაბოდვარის გაანალიზებას. არადა, სწორედ ასეთ აბდაუბდასთან დაკავშირებით ჭორები შეკრიბა ამჟამად ცნობილმა ლარისა ვასილევამ მრავალგზის გამოცემულ წიგნში „კრემლის მკვიდრთა ცოლები“, შემდეგ კი მცოდნის მეცნიერული იერით გადმოანთხია ტელეეკრანზე იმავსახელწოდებიან დოკუმენტურ სერიალში. გაანალიზებას აზრი არა აქვს იმიტომ, რომ ნაბოდვარის გადაღეჭვა ჭორიკნების ხვედრია, მე კი, ავტორი, ამოცანად ვისახავ ანტისტალინური მითების უცნობი, უწინარეს ყოვლისა, იდუმალი არსის გადმოცემას.

ხელთა მაქვს სტალინის პირადი დაზვერვის მაღალმდგომარეობიანი თანამშრომლებისგან მიღებული სარწმუნო ცნობები და შემიძლია სრული კატეგორიულობით განვაცხადო: ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობის კულისებს უკან იდგა ანტისტალინური ოპოზიციის უდიდესი პოლიტიკური პროვოკაცია, განხორციელებული ტროცკის მითითებით. პროვოკაციის არსი კი შემდეგშია:

ბუხარინის მეშვეობით, რომელმაც ერთობ მეგობრული ურთიერთობები დაამყარა ნადეჟდა ალილუევასთან, მასზე, როგორც სტალინის ცოლზე, ხდებოდა ზედმიწევნით დახვეწილი იდეოლოგიური ზემოქმედება. ასეთი ზემოქმედების მთავარი ჩანაფიქრი გახლდათ მარჯვედ შეთხზული ცილისწამება სტალინზე და მისი გაშავება ცოლის თვალში, რომელსაც გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ ათასგვარ გამონაგონს ქმარზე — თითქოსდა მეუღლისადმი მისი ღალატისა და ყოველნაირი ამორული თავგადასავლების შესახებ დედაკაცური ჭორებიდან — პოლიტიკურად ძალიან მკაფიოდ ორიენტირებულ პროვოკაციებამდე. ძირითადად ყველაფერ ამას აკეთებდა ბუხარინი. ეს „კრისტალურად სუფთა ლენინელი“ არამზადა ძალდაუტანებელი ფორმით უყვებოდა ქალს ნაირნაირ სისაძაგლეებს სტალინზე — მის ვითომდა სისასტიკეზე, კერძოდ კოლექტივიზაციის განხორციელების დროსაც, იმაზე, რომ ესაოდა არავითარი დასკვნები არ გამოიტანა „ლენინის ანდერძიდანო“, ვითომდა სპეციალურად მოაწყო უკრაინაში შიმშილობაო და ასე შემდეგ. რბილად სათქმელად, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ნადეჟდა ალილუევა პრაქტიკულად ყველაფერს ეგრევე „ყლაპავდა“, მით უფრო, რომ იმ ნაძირალას მომხიბვლელობით იყო მონუსხული, ვისაც „პარტიის რჩეულად“ სახავდნენ, სინამდვილეში კი მაშინდელ პარტიაში ყველაზე მთავარი წყლის ამღვრევი და დამხეთქებელი იყო:

რასაკვირველია, სტალინს შეუმჩნეველი არ დარჩენია ცოლის იდეოლოგიური დამუშავება ოპოზიციის ლიდერთა მხრივ. ამ ნიადაგზე იმათ არაერთხელ მოსვლიათ სკანდალები, რომელთა პროცესში სტალინი ერთობ მკაცრად უხსნიდა ცოლს, თუ რატომაა, რომ ბუხარინი ვითომდა გულახდილია მასთან. ნადეჟდა კი სულ არ აღიქვამდა ამგვარ ახსნა-განმარტებებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი ასეც დარჩენილიყო — იმ აზრით, რომ რაიმე განსაკუთრებული შედეგები არ მოჰყოლოდა, მათს რიცხვში ასეთი ტრაგიკულიც, თუ არა ერთი „არა“.

1932 წელს ტროცკის დაკვეთით უკვე შეითითხნა სიყალბე. თითქოსდა სტალინის კავშირზე მეფის პოლიციის აგენტურასთან. იმავე წელს და ისევ იმ წყეული „მსოფლიო რევოლუციის ქაჯის“ მითითებით ანტისტალინურმა ოპოზიციამ ბოლო ცდას მიმართა მალულად, უსისხლოდ სტალინის ჩამოსაგდებად. მათი ჩანაფიქრის სქემა მარტივი იყო. ბუხარინმა საჭირო კონდიციამდე იდეოლოგიურად უკვე დამუშავებულ ნადეჟდა ალილუევას გასაცნობად შეაჩეჩა ყალბი დოკუმენტი სტალინის თითქოსდა კავშირზე მეფის პოლიციის აგენტურასთან. გათვლა აგებული იყო იმაზე, რომ როცა ქალი გაეცნობოდა ამ ვითომ დოკუმენტს, როგორც ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და ფრიად ემოციური, ოჯახში ატეხდა სკანდალს, რომელიც უმალვე პოლიტიკურში გადაიზრდებოდა — იმ ხანებში კრემლის ბომონდი ერთობ ვიწრო გახლდათ და რაიმეს დაფარვა უბრალოდ შეუძლებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით. ეს კი, თავის მხრივ, ოპოზიციას მისცემდა გენერალური მდივნის პოსტიდან უსისხლოდ სტალინის მოხსნის რეალურ შანსს, თუნდაც მისი მაკომპრომეტირებელი ფაქტის შემოწმების საბაბით. ოპოზიციისა და ტროცკის აზრით, „ეს მოხდებოდა უბრალოდ, მაგრამ გემოს ჩატანებით“, თანაც ოპოზიციაც თითქოსდა არ გამოდიოდა დამნაშავე.

არადა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. მემკვიდრეობითმა ფსიქიკურმა გაუწონასწორებლობამ, ძალზე ემოციურმა ხასიათმა, პლუს რაღაც ძალიან ძლიერმა ტკივილებმა, ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე რომ დაეწყო (ყოველ შემთხვევაში ასეა ჩაწერილი კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს ბარათშიძ და მორიგმა დეპრესიამ სხვა, ტრაგიკული აღსასრული მოიყოლეს. თვით დოკუმენტისა რაიმე ხსენებაც არ ყოფილა. ოპოზიციამ 1932-ში ვერ მოახერხა ამაზე ხელის მოთბობა.

გასაკვირი კი აი, რა არის. 1933 წლიდან დაწყებული, ტროცკი თავისი შორეთიდან დაუფარავად ალაპარაკდა, რომ ახლა დროა სტალინის დამხობა მხოლოდ ძალის გამოყენებით. სწორედ ასე განაცხადა: „მმართველი ხროვის (ანუ სტალინის — **ა. მ.**ძ მოსაცილებლად არ დარჩა არავითარი ნორმალური, „კონსტიტუციური“ გზები, მარტო ძალით შეიძლება, რომ ბიუროკრატიას პროლეტარული ავანგარდის ხელში ძალაუფლების გადაცემა აიძულო.“ ამრიგად, ფსიქიკურად არცთუ გაწონასწორებულ ცოლზე უნამუსოდ ზემოქმედება „ნორმალური, კონსტიტუციური გზაა“, ხოლო როცა ეს არ გამოვიდა და ადამიანი ცხოვრებიდან წავიდა, მაშინ ძირს ბიუროკრატია, ესე იგი სტალინი, ძალისმიერად? ხედავთ, რა ლოგიკა ჰქონდა იმ „ქაჯს“!

**მოამზადა**
**თამაზ ეზანოიძემ.**
**(დასასრული იქნება)**

## ინფორმაცია

### გილაური ინფლაციის ორი პროცენტით შემცირებას გვპირდება

**ფინანსთა** მინისტრის ნიკა გილაურის პროგნოზით, მომავალ წელს 9-პროცენტიანი ინფლაცია წლის ბოლოსთვის 7 პროცენტამდე ჩამოვა. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა გუშინ პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას განაცხადა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის ბოლოს ინფლაცია 8 პროცენტი დაფიქსირდება, ახლა კი 6,5 პროცენტია.

საქართველოში უპირატესი მდგომარეობის დასადასტურებლად ნიკა გილაურმა უკრაინის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი მოიყვანა.

კერძოდ, უკრაინაში ინფლაცია 30 პროცენტია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 20 პროცენტი.

### დედა-შვილი ეზოში გაყინულები იპოვეს

**გუშინ** დილით გურჯაანში ბესიკის ქუჩაზე მცხოვრები დედა-შვილი სერიკო და ნოდარ მათეშვილები საკუთარი სახლის ეზოში გარდაცვლილები იპოვეს.

მეზობლების თქმით, 57 წლის ნოდარ მათეშვილი მიდრეკილი იყო ალკოჰოლისადმი და ხშირად სვამდა, ხოლო მისი 80 წლის დედა მძიმედ ავადმყოფობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სერიკო მათეშვილი ნასვამი შვილის მოსახმარებლად ეზოში გავიდა, თუმცა დაუძლურებულმა მოხუცმა სახლში სიცივის გამო შებრუნება ველარ მოახერხა და გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილას დილიდან შსს გურჯაანის პოლიცია მუშაობს. სამართალდამცველთა ვერსიით, ნოდარ მათეშვილი რამდენიმე დღის გარდაცვლილია, ხოლო სერიკო მათეშვილი მოგვიანებით გარდაიცვალა. დედა-შვილის გარდაცვალების მიზეზებს დეტალურად ექსპერტიზა დაადგენს.

### მოსწავლეები ფიზკულტურას თორმეტი წელი ისწავლიან

**ეროვნული** სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდა საშუალო განათლების ყველა საფეხურზე სავალდებულოა და 12 კლასს მოიცავს.

როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, 2009 წლისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს: ფეხბურთში „სკოლბურთის“ შეჯიბრებების ორგანიზებას საქართველოს მასშტაბით და სასკოლო საფეხბურთო ლიგის შექმნას; რაგბის პოპულარიზაციის მიზნით სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზებას და კალათბურთში სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზებას;

მათივე ინფორმაციით, სასკოლო ცხოვრებაში სპორტული კომპონენტის გააქტიურების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსწავლეებში თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და მართვა.

ინტერპრესნიუსი

შეხვედრა

# მინისტრი პრობლემებს გაეცნო



**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკა რურუა ეროვნული ფედერაციების მესვეურებსა და მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. უწყების ახალ ხელმძღვანელს, როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა აღნიშნა, ქართულ სპორტში არსებული პრობლემების გაცნობა სურდა.** მინისტრს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა უშანგი ყურაშვილმა, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, წყალსათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა რომან მელიამ, სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი დოლაზერიძემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ კახაბრიშვილმა, ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მორის სახვაძემ, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესო ლიპარტელიანმა, კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა ზაზა დოლიძემ, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ.

ბატონმა ნიკა რურუამ ფედერაციათა ხელმძღვანელებს მადლობა გადაუხადა გულახდილი საუბრისთვის, უპასუხა შეკითხვებზე და დამსწრეთ შეჰპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს ქართული სპორტის წინსვლისთვის. უპირველესი პრიორიტეტი ბავშვთა სპორტი იქნება, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია. უახლეს დღეებში მინისტრი ყველა ფედერაციას ცალ-ცალკე შეხვდება.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო**

რეიტინგი

# ნაკრები უკან!

**სხვა ვერაფერს ვუწოდებთ ფიფას მიერ გამოქვეყნებულ 2008 წლის საბოლოო რეიტინგით საქართველოს ნაკრების 108-ე ადგილზე, ანუ პლანეტის გუნდებს შორის, მეორე ასეულში დამკვიდრებას. ნოემბერში რუმინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში დამარცხებით ერთბაშად 9 საფეხურით „გადავხტით" უკან. ასე რომ, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში მხოლოდ ჩერნოგორიასლა ვუსწრებთ 4 ქულით.** მან კი წინ 3 ადგილით გადაინაცვლა. და თუ ჩვენი ნაკრები ასევე „წარმატებით" იასპარეზებს, ალბათ მალე გადაგვისწრებს კიდეც. ჩვენი მეტოქეებიდან იტალია მე-4 ადგილზეა (იყო მესამეზე), საფრანგეთი – 27-ზე (თერთმეტი ადგილით ჩამოქვეითდა), ცამეტი ადგილით წინ წავიდა კვიპროსი, ახლა ის 94-ე ადგილზეა. ირლანდია კი – 38-ზე (ორი საფეხურით უკან).

რეიტინგის პირველ ათეულში კი ასეთი მდგომარეობაა (ფრჩხილებში წინა რეიტინგის ადგილია მითითებული – 1 (1) **ესპანეთი,** 2 (2) **გერმანია,** 3 (4) **ჰოლანდია,** 4 (3) **იტალია,** 5 (5) **ბრაზილია,** 6 (6) **არგენტინა,** 7 (7) **ხორვატეთი,** 8 (10) **ინგლისი,** 9 (8) **რუსეთი,** 10 (13) **თურქეთი.**

ახალი რეიტინგით პირველი ათეული დატოვეს ჩეხეთმა (მე-13) და პორტუგალიამ (მე-12).

საერთო ჯამში დეკემბრისთვის ეროვნულმა ნაკრებებმა გამართეს 1040 მატჩი. სარეკორდო იყო 2004 წლის 1065 მატჩი.

სეზონის ფინიშზე

# წლეულს საქართველოში რაგბის აღარ ითამაშებენ

**13 დეკემბერს გამართული „ლელო"-„აკადემიის" სათასო ფინალით დასრულდა 2008 წლის ქართული სარაგბო სეზონი. წლეულს საქართველოში რაგბის აღარ ითამაშებენ (რომ არ შეშინდეთ, შეგახსენებთ, რომ 2009-მდე სულ რაღაც ორი კვირა დარჩა).**

დასრულებული ჩემპიონატი და თასის გათამაშება, პირველ რიგში, გუნდების რაოდენობით იქცევს ყურადღებას. ბოლოს როდის იყო 8 გუნდი უმაღლეს ლიგაში, ალბათ, ვეტერანებს თუ ეხსომებათ. რაც მთავარია, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი უსიამოვნო ანგარიშის 30:0-ის რაოდენობა (გუნდს 30:0 გამარჯვება ეთვლება მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის შემთხვევაში). სეზონი რამდენმა კოლექტივმაც დაიწყო, იმდენივემ დაამთავრა, არავინ გაქცეულა, გაპარულა, დამალულა და არავის უთქვამს უარი ასპარეზობაზე. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.



მაინც რატომ დაირღვა ბოლო წლების ეს „ტრადიცია"? რამ დატოვა გუნდები, ბოლომდე, ბრძოლაში? პასუხი მარტივია: ყველა ხარჯი საქართველოს რაგბის კავშირმა იკისრა. მგზავრობიდან დაწყებული, 2-2 კომპლექტი სათამაშო ფორმით დამთავრებული, სახელმწიფომ დააფინანსა. გუნდებს აღარ მოუხდათ სპონსორების კარდაკარ ძებნა და გროშების შეკოწიწება, ამიტომ, ავად თუ კარგად, სეზონი ყველამ ჩაამთავრა. სხვა საქმეა, კარგია თუ არა ეს? ალბათ, სამომავლოდ – არა. არ შეიძლება ყველა გუნდი სახელმწიფოს კმაყოფაზე იყოს. მომავალში კლუბების რაოდენობამ თუ იმატა (ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს!), სახელმწიფო, უბრალოდ, ვერ გაწვდება ყველას შენახვას და არც იქნება ვალდებული. მაგრამ ეს სამომავლოდ, ამ ეტაპზე კი კავშირის ეს გადაწყვეტილება ყველაზე სწორი და პროგრესული იყო. სხვა შემთხვევაში, ისეთივე მწირ და გაჭირვებულ ჩემპიონატს მივიღებდით, როგორიც აქამდე გვქონდა, შეიძლება, უარესსაც.

წესით, გუნდს უნდა ჰყავდეს ერთი შეძლებული სპონსორი მაინც, რომელიც კლუბის მეგობარი და პარტნიორი იქნება. მაგრამ ამ ქვეყანაში ცოტა ძნელია, მიხვიდე კომპანიაში, რომელიც, შეიძლება, ყოველ წუთში გაურკვეველი მიზეზით დახურონ, და სთხოვა, რაგბის თამაში მინდა და დამაფინანსეო. ეს იქ ხდება, „თბილ ქვეყნებში", ჩვენ კი პირჯვარი უნდა ვიწეროთ, რაც გვაქვს, ესეც არ დავკარგოთ.

გარდა ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებისა, კავშირმა გუნდებს პრემიები და ფულადი დახმარებებიც გადასცა, თუმცა, – არა ყველას. ვისაც შეჰპირდნენ და არ მისცეს, ომის ბრალიაო, უთხრეს.

ორიოდე სიტყვა პირველ ლიგაზეც: იქაც 8 გუნდმა მოიყარა თავი და არც იქიდან გაქცეულა ვინმე გათამაშების ბოლომდე. მათაც მიიღეს მაისურები და უფასოდ მგზავრობის საშუალება. ამბობენ, მომავალი წლისთვის მეტი გუნდი იქნებაო, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, ვერ დავიჯერებ.

გაჩნდა სამოყვარულო გუნდები (ნეტა, რომელია საქართველოში პროფესიული?). მართალია, ისინი უფრო ლუდის კათხასთან არიან ასოცირებული, ვიდრე, მაგალითად, აგრესიულ ბოჭვასთან, მაგრამ, როგორც ვიცით, პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი იმიტომ ჰკიდია, რომ მეოთხეში გაისროლოს. ეს გუნდებიც გასროლას ელიან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართული რაგბის უზარმაზარი მინუსი, უდისციპლინობა და არასათამაშო აგრესია. არსებობს აზრი, რომ, რაც მაღალია გუნდების სათამაშო დონე, მით ნაკლებია ჩხუბი მოედანზე. ამ აზრს თუ გავითვალისწინებთ, ქართული რაგბის დონე ბოლოდან მესამე აღმოჩნდება „ალ-ყაიდასა" და „ჰამასის" შიდა ჩემპიონატების შემდეგ. ხუმრობა იქით იყოს და ჩხუბს თუ არ შევეშვით, დიდი რაგბი ოცნებათა სამყაროში დარჩება.

მოედნების პრობლემა (მათი არქონის) არახალია და ახლა მასზე ლაპარაკი ადგილის ტკეპნა იქნება. „სინათლის" სტადიონის დამატება, ამ პირობებში, უკვე დიდი ამბავია.

მოკლედ, ასეთი იყო 2008 წლის სარაგბო სეზონი. ჩემპიონი, ძველებურად, „ლოკომოტივი" გახდა, თასი „ლელომ" აიღო, უმაღლესი ლიგა თბილისის „დინამომ" და „არმაზმა" დატოვეს, მათი ადგილი არადედაქალაქელებმა, ბათუმელმა „დათვებმა" და რუსთაველმა „ხარებმა" დაიკავეს.

ნათელი მომავლის იმედი უდავოდ კარგი რამაა, ჰოდა, ჩვენც და რაგბიმაც ეს იმედი უნდა ვიქონიოთ, უკეთესი მაინც არაფერი გაგვაჩნია.

**ნიკა ჩალათაშვილი**

ინტერნეტიდან





## მსოფლიო ჩემპიონები — ნადალი და იანკოვიჩი

**ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) 2008 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონებად გამოაცხადა რაფაელ ნადალი და ელენა იანკოვიჩი.**

პლანეტის პირველი ჩოგანოსანი მუდამ როდი ხდება მსოფლიო ჩემპიონი. ასე იყო, მაგალითად, 2004 წელს, როდესაც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა ანასტასია მისკინა, მსოფლიოს მესამე ჩოგანოსანი და არა ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი ან ფრანგი ამელი მორესმო. ახლაც იანკოვიჩის სახელზე როდია გამარჯვებები მთავარ საჩოგბურთო შეჯიბრებებზე, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ შესაძლებლად მიიჩნია ჩემპიონად მისი გამოცხადება. როგორც ჩანს, მხედველობაში მიიღეს სერბიელის სტაბილური შედეგები, თანაც მსოფლიო რეიტინგის პირველ ხუთეულიდან ის მონაწილეობდა ტურნირთა მაქსიმუმში – 22.

## შემხვედრი დინებებით — პირატების ტერიტორიისკენ

**იახტებით დედამიწის გარშემო რბოლის Volvo Ocean Race მეოთხე დღეს ყველა იახტა ებრძოდა შემხვედრ დინებას, რომელიც ამუხრუჭებს ფლოტილიას, ასე რომ, იახტები კურსზე გადაადგილდებიან 3,5 კვანძის სიჩქარით. დინება იახტებს შრი-ლანკის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ – პირატების ტერიტორიისკენ უბიძგებს.**

დღეს-ხვალ ფლოტილია საკონტროლო პუნქტთან უნდა მივიდეს სუმატრის მახლობლად, კუნძულ პულაიუვახთან.

## დეფიციტი — 65 მილიონი

**სწორედ ასეთი გარღვევა აღმოაჩნდა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს საფინანსო დოკუმენტების მიხედვით წლევანდელი 31 ოქტომბრისთვის, დეფიციტის გაჩენის მიზეზად ასახელებენ ვალუტის გაცვლით კურსში ცვლილებებსა და მოწყობილობათა შეძენაზე ხარჯების ზრდას. თუმცა კომიტეტის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ თამაშების მზადების ამ ეტაპზე დეფიციტი ნორმალური მოვლენაა, შემოსავლებს ბიუჯეტში ბილეთების გაყიდვით და სპონსორებისგან მოგვიანებით მოელიან.**



2010 წლის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი განსაზღვრულია 1,6 მილიარდი დოლარით. აქედან 760 მილიონი დოლარი უნდა შევიდეს სპონსორ-კორპორაციებიდან. ჯერჯერობით კი მხოლოდ 40 პროცენტი აქვთ მიღებული.

## ახალ წელს — პორტუგალიაში

**პორტუგალიაში შეხვდება ახალ წელს საქვეყნოდ ცნობილი წყვილი – სახელგანთქმული იტალიელი მოდელი დებორა სილვალაჯიო და პორტუგალიელი ფეხბურთელი ვიქტორ უგო გომეს პასოსა, უფრო ფეხბურთის მეფის სეხნიად – პელედ რომაა ცნობილი. თუმცა ქორწილზე ლაპარაკს ნაადრევად მიიჩნევენ.**

„ეს რად გვინდა? საყვარელთან ისეც კარგად ვგრძნობ თავს, – განაცხადა ლამაზმანმა. საქმეს ისიც ართულებს, რომ დებორა ახლა იტალიაში გადავიდა. პელე კი პორტუგალიაში თამაშობს. ახლა შეყვარებულები იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს.

„ვცხოვრობთ საჩემოდნე განწყობილებით, – წუხს ქალიშვილი, – როგორც კი დროს ვიშოვი, მივეშურები საყვარელი ადამიანისკენ. ამას კარგი უპირატესობაც აქვს, ნაკლებად ვდავობთ".



მისივე განცხადებით, ახალ წელს ერთად პორტუგალიაში შეხვდებიან, მომავალ წელს ლამაზმანს ძალზე სერიოზული სამუშაო გეგმები აქვს, თუმცა შესახვედრად დროს აუცილებლად გამონახავს.

## მადლიერება

# საახალწლო განწყობა გაუხალისეს

უკვე თერთმეტი წელია არსებობს არასამთავრობო საბავშვო ორგანიზაცია „ეზო“, რომელსაც პროფესიით ეთნოლოგ-ისტორიკოსი, ქალბატონი ირმა კეცხოველი ხელმძღვანელობს. ორგანიზაცია მზრუნველობს მთაწმინდის რაიონის, კონკრეტულად კი რუსთაველის გამზირის და მისი შემოგარენი 22 ქუჩის 120-მდე შეჭირვებული ოჯახის შვილებს. ძირითადად, შემეცნებით ორგანიზაციას ენთუზიაზმით მესვეურობს ადამიანი, რომელიც მთელი სულითა და გულით, სიყვარულით ემსახურება ბავშვებზე ზრუნვის კეთილშობილურ საქმეს. და რაც ყველაზე არსებითია, მან შეძლო ბავშვების დაინტერესება იმ სამყაროთი, რომელსაც ისინი წლების მანძილზე მოკლებული იყვნენ. ეს არის: კინო, თეატრი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, ექსკურსიები, გამოფენები.

საზოგადოების არსებობის თერთმეტი წლის განმავლობაში, ქალბატონ ირმას ქველმოქმედებაში რამდენიმე კომპანია დაეხმარა. მათი შემწეობით, რუსთაველის №18-ში თბილი და მყუდრო გარემო შეიქმნა. ქალბატონ ირმას გულმოდგინებამ, რომ პატარები ქუჩის საფრთხისთვის აერიდებინა, შედეგი გამოიღო.

ახლა პატარებს ჰყავთ საუკეთესო მრჩეველიც და მსმენელიც. ირმუშკა (ასე ეძახიან მას) ყველა მათგანის საწუხარსა და სიხარულს იზიარებს, იგი პატარების მესაიდუმლეა.

— მადლიერება უდიდესი საჩუქარია, დასაფასებელი გრძნობაა, — ამბობს ქალბატონი ირმა, — სასიამოვნოა, როდესაც გახსოვს ყველა ის სიკეთე, რომელიც შენს მიმართ, ანდა შენი გარემოს მიმართ ვინმემ გამოხატა. კარგი იქნებოდა, საქართველოში მადლიერების აღმნიშვნელი დღე დაგვეარსებინა, ანუ ეს მოვლენა ინსტიტუტად გვექცია. თავის დროზე ცხონებული რეზო თაბუკაშვილი თავგამოდებით ცდილობდა ამ ინსტიტუტის დამკვიდრებას, მაგრამ მავანმა და მავანმა მიივიწყა. ჩვენ კი უფლება არა გვაქვს, მადლიერები არ ვიყოთ იმ ადამიანებისა, რომელთაც საზოგადოება „ეზოს“ მიმართ თუნდაც მცირედი თანადგომა გამოხატეს.

განსაკუთრებული სითბოთი მახსენდება 2008 წლის დადგომა. სრულიად უიმედოდ ვიყავით, არ გვეგონა, საზოგადოება „ეზოს“ შეჭირვებული ოჯახის ბავშვებს ვინმე თუ გაუხალისებდა საახალწლო განწყობას. მაგრამ ორგანიზაცია „ყაზტრანსგაზის“ დირექციამ მუყაოს ლამაზი ყუთებით 100 ბავშვისთვის გათვალისწინებული დიდი რაოდენობის ტკბილეული მოგვართვა. ყუთებზე თაგუნია იყო გამოსახული. საჩუქრები თავად საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ეკა სარიამ მოგვიტანა. ის ყუთები ბავშვებს, სხვათა შორის მეც, დღესაც შენახული გვაქვს. მათ ხომ ძალიან ცოტა უნდათ სიხარულისთვის გაუსაძლისი ცხოვრების პირობებში.

დაუვიწყარია ჩვენი ბავშვებისთვის საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბალეტის კონცერტზე დასწრება. ბატონმა ილიკო სუხიშვილმა ძვირადღირებული კონცერტის 35 ბილეთი უსასყიდლოდ გადმოგვცა.

მუდმივად ვემადლიერებით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციას, რომელიც სისტემატურად ზრუნავს იმისათვის, რომ ბავშვებს ლამაზი წუთები აჩუქონ. სადღესასწაულო დღეებში მათ საკარნავალო კოსტიუმებით ანებივრებენ, ასევე, სპექტაკლების ნახვის საშუალებას აძლევენ. სახელგანთქმულმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა რამდენჯერმე მიიწვია ბავშვები საბალეტო დადგმის სანახავად. ამ დღეებში ბარბაროზა მოგვილოცა კომპანია „ამქორმა“ და ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცა. დიდ მადლობას მოვახსენებთ კომპანიის მენეჯერს, ბატონ ზაზა გურგენიძეს.

ვემადლიერებით ყველას, ვინც უწინ და მომავალშიც ყურადღებას გამოიჩენს ჩვენი საზოგადოების მიმართ. მათ ვულოცავთ დამდეგ 2009 წელს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს ვუსურვებთ! — გვეუბნება დიდი ნიკო კეცხოველის ძმისშვილი, კეცხოველების გვარის ღირსეული გამგრძელებელი.



**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### ჩინურ მრიცხველებს აღარ დაგვაძალებენ

„სოკარ ჯორჯია გაზ“-ს და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულებები, სავარაუდოდ, 20 დეკემბერს გაფორმდება. ამის შესახებ „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჯაფარიძემ განაცხადა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ხელმოწერილი იქნება შეთანხმება გაზგამანაწილებელი კომპანიების პრივატიზების თაობაზე, ხოლო ენერგეტიკის სამინისტროსთან — 5 წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის და თბოელექტროსადგურებისთვის გაზის მიწოდების თაობაზე.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“ „სოკართან“ დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. ცენტრის ინფორმაციით, გაზის მიმწოდებელი კომპანიები აბონენტებს ჩინური მრიცხველების შეცვლას აღარ ავალდებულებენ

როგორც „გურჯაანგაზის“ დირექციაში აცხადებენ, ჩინურ მრიცხველებს ახალი მრიცხველებით კომპანია „სოკარი“ საკუთარი ხარჯებით მას შემდეგ შეცვლის, რაც გაზის მიმწოდებელი კომპანიების ქონებას ოფიციალურად გადაიბარებს და მუშაობას შეუდგება.

**ინტერპრესნიუსი**

---



სააქციო საზოგადოება „ვაზიანის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის

დემნა იაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის, რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევის, პროფესორ

შალვა აფციაურის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

შპს „ეი-დი-ელ ჯგუფი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ ტელეფონზე: 899 23-25-64.

---

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

---

## გახსენება

### მანანა მეტრეველი-დვალიშვილი

ორმოცი დღე გავიდა, მანანა, შენი უეცარი გარდაცვალებიდან... წახვედი ცხოვრებით დაჩაგრული, დატანჯული, შვილს გადაყოლილი — ხუთი წელია შენი დათუნა აღარ არის... დაუტოვე მწუხარება, ტკივილი შენს ერთადერთ ძმას თემურს, რძალს მარინას, მეუღლეს ჯიმშერს, ქალიშვილს თამუნას და მთელ მის ოჯახს... სამეგობროს... ყველას დააკლდი...

ნათელში გამყოფოს ღმერთმა!..

შენი ძმა თემური, მეუღლე ჯიმშერი

---

## ხსოვნა

# იური ჭანტურია



უეცრად გარდაიცვალა ცნობილი სამეურნეო მუშაკი, ქველმოქმედი, ღირსეული ადამიანი, მამულიშვილი, ზნეობით, ერუდიციითა და ინტელექტით გამორჩეული ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე და მოყვასი, მეგობრებისა და ახლობლების სული და გული, თბილი და ყურადღებიანი, კეთილშობილებისა და სიკეთის განმასახიერებელი პიროვნება იური ჭანტურია.

სულ ახლახან, 20 ნოემბერს, დაბადებიდან 70 წელი მივულოცეთ ამ ღვაწლმოსილ, ღვთისნიერ ადამიანს. მაშინ რას ვიფიქრებდით, რომ რამდენიმე დღეში, თავზარდაცემულნი და უზომოდ დამწუხრებულნი, მისი ხსოვნის წერილს დავწერდით.

იური ჭანტურია აბაშაში, სოფელ კვათანაში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ეთერზეთების მეურნეობაში, აბაშის რაიაბრეშუმში, ხოლო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქვე, პარკსაშრობის დირექტორად გადაიყვანეს. მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა.

1969 წელს იგი სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, საიდანაც აბაშის სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელად დააწინაურეს. მთელი ათი წლიწადი აბაშის რაიაღმასკომს თავმჯდომარეობდა. ბატონი იური გახლდათ აბაშის ცნობილი ექსპერიმენტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

1981 წლიდან, მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, იური ჭანტურია მინისტრთა საბჭოს აპარატში გადაიყვანეს — ხელმძღვანელობდა მთავრობის მეურნეობას, სადაც ორ ათეულ წელზე მეტი წარმატებით იმოღვაწა. შემდეგ მთავრობის რეზიდენციის გაერთიანების მმართველიც იყო.

იური ჭანტურია დიდ, ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა, სადაც ურთიერთპატივისცემა, თავაზიანობა, შრომისმოყვარეობა და საქმისადმი პასუხისმგებლობა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი. ეს თვისებები ბატონმა იურიმ მთელი ცხოვრება ისაგზლა და კელაპტარივით იწინამძღვრა. მისთვის ოჯახი უწმინდესი იყო. მეუღლესთან ერთად ოთხი შვილი აღზარდა, მოესწრო შვილიშვილებს, შვილთაშვილებს...

ბატონი იური ღვთისნიერი კაცი იყოო, ზემოთ ვთქვით. ადრეულ წლებში იგი რამდენიმე ეკლესიას დაეხმარა ფინანსურად, ხოლო თავის სოფელში, კვათანაში, შვილებთან ერთად, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია ააგო.

იური ჭანტურიამ ბოლო წლები ნაყოფიერად ილვაწა საქართველოს დიაბეტთა ასოციაციის პრეზიდენტად და ვაჟა ივერიელის სახელობის კლინიკა „ენმედიცის“ დირექტორის მოადგილედ.

„მართალია, დეკემბერი ყველაზე ცივი თვეა წელიწადში, მაგრამ ჩემთვის იგი განსაკუთრებით სუსხიანი გამოდგა: 9 დეკემბერს ჩემი ძმა — რეზო დაიღუპა, 3 დეკემბერს — ჩემი უსათნოესი დედა“... — წერდა დედის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში ბატონი იური. თვითონაც 16 დეკემბრის სუსხიან დღეს აღესრულა...

წავიდა ჩვენგან საუკეთესო მეგობარი, მამულიშვილი, ღირსეული პიროვნება იური ჭანტურია, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, ახლობლების, ყველა მათგანის გულში, ვინც მას იცნობდა და მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**აბაშის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.**

---

მეუღლე ზაირა, შვილები ნანა, ნონა, ნინო, ნიკოლოზი, რძალი თინიკო კუცია, სიძეები ემილ გაბელაია, რამაზ ლომინაძე, გიზო ხარჩილავა, შვილიშვილები თათია, ლევანი, ნია, გიორგი, ოთიკო, თორნიკე, ნიკა, შვილთაშვილები საბა, ნანა, ძმა მაკარი ოჯახით, ახლობლები, ნათესავები, მოყვრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იური ნიკოლოზის ძე ჭანტურია

პანაშვიდი 19, 20 XII, 16 სთ. დაკრძალვა 21 XII, 15 სთ. აბაშის რაიონი, სოფელი კვათანა.

---

მარგო კიკალიშვილი, რეზო ჭოჭუა და რუსლან რუსია ოჯახებით გულწრფელად თანაუგრძნობენ ქალბატონ ზაირა ხოშტარიას, ნანა, ნონა, ნინო, ნიკოლოზ ჭანტურიებს მეუღლისა და მამის, შესანიშნავი პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის, სანიმუშო მოქალაქის, მეოჯახისა და მეგობრის

იური ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით იუწყება შესანიშნავი პიროვნების

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

---

გურამ გუნავა ოჯახით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, ახლო მეგობრის, ცნობილი სამეურნეო მუშაკის

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

---

ლია და რომან კიზირიები ოჯახით იუწყებიან თბილი და ყურადღებიანი უფროსი მეგობრის

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

---

დარეჯან და გიორგი დუნდუები ოჯახით იუწყებიან ახლობელი ადამიანის

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

---

დიანა ასათიანი, გიული, ლამარა ჯალაღანიები, იზო, ჯემალ მაკარაძეები, ანგელინა გვაზავა, ლილი, ზაურ თელიები, ლეილა ნოდია, მარინა კანდელაკი ოჯახებით იუწყებიან ჭეშმარიტი ადამიანის

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

გვწერენ

# დაპირებებს ბოლო არ უჩანს

მე, ხანდაზმული კაცი, მუხრანის ქუჩის მცხოვრებთა (და არა მარტო მათიძ სახელით, აღარ მახსოვს, მერამდენედ ვწერ ჩვენს გაჭირვებაზე. ერთი ისაა, რომ არჩევნების წინ, სულერთია, რა არჩევნები იქნება, შემოგვესევიან ხოლმე დეპუტატობის კანდიდატები და იციან თი დახმარებაც გვიხდება. აბა სასაფლაოზე „მალე მისვლა ვის უხარია", თანაც ასეთი გაჭირვებით, მანქანების მიწოლით თუ ტალახში ამოსვრით? მით უმეტეს, რომ ახლა ზამთარია და მოთოვლილი და მოლიპულ გზაზე ასვლა საერთოდ შეუძლებელია. ათასობით მიცვალე-



რა ჩვენი გასაჭირი, რაღას არ გვპირდებიან. შემდეგ კი შარშანდელი თოვლივით ქრებიან არაფრის გამკეთებლები.

განვიმარტავთ: მუხრანის ქუჩა თბილისის ზღვის სასაფლაოზე ადის. ისე მას დიდი გამტარუნარიანობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ქალაქის მესვეურთა გადამკიდეს, მის გამტარუნარიანობას ვილა ჩივის, კეთილმოწყობას საშველი არ დაადგა, ამიტომაც შორი გზით მოვლა გვიხდება ჩვენც და სხვა ჭირისუფალთ. ამ ჩვენს აღმართზე ასვლა როგორც მსუბუქ მანქანებს, ავტობუსებსაც უჭირთ. ჩვენ, თავად გაჭირვებულთ, მაბულთა ჭირისუფლები და ამავე ქუჩის მცხოვრებლები კი კვლავ პრობლემების წინაშე დგანან.

ახლა ერთზე ვფიქრობთ, ალბათ რამდენიმე თვეში კიდევ ერთი არჩევნები ჩატარდება, ვაფრთხილებთ დეპუტატობის მომავალ კანდიდატებს: ჯერ გზა შეგვიკეთონ და მერე ისე მოვიდნენ მოსალაპარაკებლად. არადა დაპირებებს ბოლო არ უჩანს, — იქნებ აქამდე მერიის კეთილმოწყობის ხალხმა მაინც მოგვხედოს.

**ვალოდია გოგაძე,**
*ომისა და შრომის ვეტერანი,*
*დამსახურებული პოლიგრაფისტი.*

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!




## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ"** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა"** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას"** 90 (ოთხმოცდაათიძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა"!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37.47.49; 25.33.88; საქპრესა — 93.30.40; ექსპრესი — 93.66.78; უწყებანი — 93.64.72; ინფოსერვისი — 95.48.82; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია — 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

ქალაქის მერია გვპირდება

# ისე მიხედავენ, როგორც მის სახელს ეკადრება

მკითხველი, „საქართველოს რესპუბლიკის" 16 დეკემბრის ნომერში უთუოდ წაიკითხავდა კრიტიკულ პუბლიკაციას — „იცის ქალაქის მერიამ, რა დღეშია ქართული პოეზიის დედოფლის საფლავი?!", რომელშიც საუბარი იყო იმის შესახებ, თუ რა უყურადღებოდაა დარჩენილი ანა კალანდაძის საფლავი მთაწმინდის პანთეონში.



გუშინ გვირეკავს ქალბატონი ნელი გურგენიძე — „საქართველოს ქალები — მშვიდობისათვის" საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მადლობას გვიხდის პუბლიკაციისთვის და თან გვეუბნება, მგონი, თქვენმა „მკვახე შეძახილმა" გაჭრა, ქალაქის მერიიდან დაურეკეს ქალბატონ ანას ჭირისუფლებს და გვითხრეს, საფლავი სულ მალე ისე მოეწყობა, როგორც მის სახელს ეკადრება, თანაც ვაცხადებთ მთაწმინდაზე დასადგმელი ძეგლის კონკურსს და ქალაქის ცენტრში ვარჩევთ ქუჩას, რომელსაც ანა კალანდაძის სახელი მიეკუთვნებაო.

კეთილი და პატიოსანი, ალილო და ხვალეო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

კადრი



ანეკდოტები

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ შვეიცარიაში აღმოჩენილია 15 ქართველი მაღალჩინოსნის ანგარიშები და ამ მეანაბრეთა გვარები მოგვიანებით გამოცხადდება, 120 ქართველი ჩინოვნიკის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ეს შვეიცარიის ხელისუფალთა თავხედური ტყუილი და პროვოკაციაა.

* * *



ადამიანთა 90 პროცენტი, თუ მათ სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლებენ, კარგად მიხვდება, რისთვისაც გაათავისუფლეს, დანარჩენ 10 პროცენტს კი ეს მხოლოდ გაუხარდება.

* * *

სამგზავრო „მარშრუტკების" მძღოლებს მარჯვენა ხელი სალონის მხარეს ეზრდებათ.

* * *

— როგორია თქვენს ქვეყანაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი?

— ისეთივე, როგორიც ყველგან: ყოველ სულზე ერთი სასიკვდილო შემთხვევა.

* * *

მიხო სამშობიაროში ცოლის მოლოგინებას ელოდება. მასთან მედდას ორი ახალშობილი მიჰყავს:

— ხომ არ გაკრთობთ ის, რომ ერთზე მეტი ბავშვი შეგეძინათ? — ეკითხება იგი.

— არა, რას ამბობთ! — უპასუხებს დაბნეული მიხო.

— შესანიშნავია! მაშინ თქვენ ესენი დაიკავეთ, მე კი დანარჩენებს მოვიყვან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუნია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.